# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 სექტემბერი 2000 №178 (1200) | ფასი 50 თეთრი


# დღეს სიდნეიში XXVII ოლიმპიური თამაშები იწყება!




REUTERS სიდნეიდან

გუშინ ოლიმპიური ცეცხლი, ავსტრალიის მიწაზე 99-დღიანი მოგზაურობის შემდეგ, სიდნეიში ჩავიდა. ოლიმპიადის დედაქალაქში ჩირაღდანი ავსტრალიის ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა და ერთ-ერთმა მთავარმა ოლიმპიურმა იმედმა, ჩოგბურთელმა პატრიკ რაფტერმა შეიტანა. დღეს კი ცეცხლი სიდნეის სტადიონზე აინთება, რითაც ოფიციალურად გაიხსნება XXVII ოლიმპიური თამაშები.


სიდნეის ოლიმპიადის პროგრამა, ქართველ ოლიმპიელთა ასპარეზობის განრიგი და სხვა ოლიმპიური ამბები იხილეთ მეშვიდე-მეათე გვერდებზე


## აუ, რა ავარიაა!



მარადონა გადარჩა

## ბაჯო ბრეშელია



# შემომქმედარა ბოსკამპი

UEFA CUP

იოჰან ბოსკამპის „გენკმა“ ყაველაშვილის და ჯამარაულის „ციურიხი“ დაამარცხა, ზაზა ჯანაშიამ ევროთასებზე თავისი მე-13 გოლი ბულგარულ „ნეფტოხიმიკს“ გაუტანა, ლადო ახალაიას და ლევან გვაზავას „ზიმბრუ“ ერთი ხანობა შინ ბერლინის „ჰერტას“ უგებდა, მამია ჯიქია კი 62 წუთი ლორან ბლანის, ალვარო რეკობას და კლარენს ზეედორფის წინააღმდეგ თამაშობდა... ასეთი იყო გუშინდელი დღე უეფას თასზე.


იხილეთ მეორე გვერდი




REUTERS ხორვატიიდან

ჯიუტი ბრძოლა. რუხი — ინტერი 0:3. მამია ჯიქია (№8) და მილანელი ვამპეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უეფას თასი. I ეტაპი.
### პირველი მატჩები. 14 სექტემბერი

UEFA CUP

ციურიხი (შვეიცარია) 1:2 გენკი (ბელგია)
0:1 პასსი (52), 1:1 ბარტლეტი (64), 1:2 ბანი (90)
ციურიხი: ტრომბინი, კვენტინი (კასტილიო 69), ფიშერი, ჯანინი, პალასი, შელინგა, შელდმანი (ნდლოვუ 79), ჯამარაული, ჩაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (შასო 72)

რუხი (პოლონეთი) 0:3 ინტერი (იტალია)
0:1 ზეედორფი (62), 0:2 რეკობა (65), 0:3 კინი (72)
რუხი: ვიერცხოვსკი, სუფლიტა (კვიჩინსკი 75), გასიორი, ვლესიალოვსკი, გორსკი, სურმა, ჯიძია (მიზია 62), იარმოცი, პალუხი, სრუტვა, ბიცასკი

ზიმბრუ (მოლდოვა) 1:2 ჰერტა (გერმანია)
1:0 ეპურეანუ (9), 1:1 პრეეცი (43), 1:2 ალი დაეი (67)
ზიმბრუ: რომანენკო, კულიკ, კატინსუსი, ტელესნენკო, ოლექსისი, ბორეცი, გილაზევი, ეპურეანუ (ახალაია 64), ბერკო (გუსილა 70), მიტერევი, არხირე (გვაზავა 81)

ლოკომოტივი (რუსეთი) 4:2 ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)
0:1 პეტროვი (10), 1:1 სარქისიანი (23), 2:1 ციმბალარი (32), 2:2 ტიმნევი (54), 3:2 ჯანაშია (62), 4:2 პიმენოვი (64)

რაპიდი (რუმინეთი) 0:1 ლივერპული (ინგლისი)
0:1 ბარმბი (29)

ოლიმპია (სლოვენია) 2:1 ესპანიოლი (ესპანეთი)
1:0 ჟუკიჩი (15), 1:1 გალკა (44 პ.), 2:1 რაკოვიჩი (45)

ვორსკლა ( უკრაინა) 1:2 ბოავიშტა (პორტუგალია)
1:0 მელაშჩენკო (38), 1:1 ჟორჟე კოუტუ (50), 1:2 სილვა (89)

ბრონდბიუ (დანია) 1:2 ოსიეკი (ხორვატია)
0:1 გასპარი (32), 1:1 იონსონი (38), 1:2 მიტუ (55)

პობედა (მაკედონია) 0:2 პარმა (იტალია)
0:1 სერჟიო კონსეისაო (22), 0:2 დი ვაიო (72)

ლოზანა (შვეიცარია) 3:2 ტორპედო (რუსეთი)
0:1 გაშკინი (14პ), 1:1 კუცბა (22პ), 1:2 ლიტვინოვი (33), 2:2 კუცბა (48), 3:2 მაცონი (51)

სელტა (ესპანეთი) 0:0 რიეკა (ხორვატია)

ლესტერ სიტი (ინგლისი) 1:1 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
0:1 აჩიმოვიჩი (1), 1:1 ტაგარტი (43)
გაძევება: გლოგოვაცი (77, ცრვენა ზვეზდა)

როდა (ჰოლანდია) 0:2 ინტერი (სლოვაკეთი)
0:1 ნემეცი (22), 0:2 ბაბნიჩი (69)

კრივბასი (უკრაინა) 0:1 ნანტი (საფრანგეთი)
0:1 ზიანი (81)

პაოკ (საბერძნეთი) 3:1 ბეითარი (ისრაელი)
0:1 პამარი (31), 1:1 კამპსი (44), 2:1 ა. კოენი (49ს.კ.), 3:1 ნალიცისი (55)

ტიროლი (ავსტრია) 3:1 ფიორენტინა (იტალია)
1:0 გილევიჩი (29), 2:0 ბაური (45პ), 3:0 გილევიჩი (50), 3:1 მიატოვიჩი (54)

ბრიუგე (ბელგია) 2:0 აპოელი (კვიპროსი)
1:0 სიმონსი (37), 2:0 მენდოზა (63)

ცსკა (რუსეთი) 0:0 ვიბორგი (დანია)

სელტიკი (შოტლანდია) 2:0 ჰიკ (ფინეთი)
1:0, 2:0 ლარსონი (14, 25)

გენიონი (საფრანგეთი) 0:0 ირაკლისი (საბერძნეთი)

ჩელსი (ინგლისი) 1:0 სენტ გალენი ( შვეიცარია)
1:0 პანუჩი (22)

სარაგოსა (ესპანეთი) 4:1 ვისლა (პოლონეთი)
0:1 კალუჟნი (11), 1:1 აკუნია (30), 2:1 ხოსე იგნასიო (55), 3:1, 4:1 იორდი (64, 69)

ნოვა გორიცა (სლოვენია) 1:4 რომა (იტალია)
0:1, 0:2 დელვეკიო (17, 19), 1:2 ზლოგარი (27), 1:3 სამუელი (41), 1:4 დელვეკიო (49)

მიოლდე (ნორვეგია) 0:1 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
0:1 ალონსო (15)

აიკ (შვედეთი) 0:1 ჰერფიოლგე (დანია)
0:1 ფალკი (23)

შტუტგარტი (გერმანია) 1:0 ჰართსი (შოტლანდია)
1:0 ბალაკოვი (35)

ვიტესი (ჰოლანდია) 3:0 მაკაბი (ისრაელი)
1:0 მარტელი (19), 2:0 პეეტერსი (63), 3:0 ამოა (90)
გაძევება: კეისი (71, მაკაბი), ბადირი (76, მაკაბი)

პარტიზანი (იუგოსლავია) 1:1 პორტუ (პორტუგალია)
1:0 რანკოვიჩი (24), 1:1 რენივალდო (89)

ალანია (რუსეთი) 0:3 ამიცა (პოლონეთი)
0:1 კრიჟალოვიჩი (45), 0:2 კროლი (49), 0:3 ზიენჩუკი (89)

სლავია (ჩეხეთი) 3:0 აკადემისკი (დანია)
1:0 კუხარი (30), 2:0 დოშეკი (53), 3:0 კუხარი (74)

ლილესტრიომი (ნორვეგია) 3:1 დინამო (რუსეთი)
1:0, 2:0 კრისტინსონი (8, 14), 2:1 რომაშენკო (43), 3:1 კოპლდერგი (69)

ცსკა (ბულგარეთი) 1:2 მტკ (უნგრეთი)
1:0 იანევი (7), 1:1 ფერენცი (50), 1:2 კუტორი (70)

ალავესი (ესპანეთი) 0:0 გაზიანთეფსფორი (თურქეთი)

ანთალიასფორი (თურქეთი) 2:0 ვერდერი (გერმანია)
1:0 გაუდინო (43), 2:0 ბირლიკი (68)

ჰალმსტადი (შვედეთი) 2:1 ბენფიკა (პორტუგალია)
1:0 სვენსონი (35), 1:1 ვან შუიდონკი (40), 2:1 სელაკოვიჩი (57)

დუნაფერი (უნგრეთი) 0:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 მოლნარი (60ს.კ.)

პოლონია (პოლონეთი) 0:1 უდინეზე (იტალია)
0:1 ვარლეი (55)

ნაპრედაკი (იუგოსლავია) 0:0 ოფი (საბერძნეთი)

სლოვანი (სლოვაკეთი) 0:3 დინამო (ხორვატია)
0:1 მუჩინი (38), 0:2 სვიტანოვიჩი (61), 0:3 ფილიპოვი (90)


ბურგასის „ნეფტოხიმიკის“ კარში მესამე გოლის გამტანი ზაზა ჯანაშია ბულგარელ დანიელ ხრისტოვს ბურთს ეცილება


სტენ კოლიმორი „ცრვენას“ მეკარე კოციჩის საცემრად იქაჩება


დუბლის გამტანი ჰენრიკ ლარსონი


დუნაფერი — ფეიენოორდი 0:1. იონ დალ ტომასონი და უნგრელი დიერდ კოში (№4)


ოუენი, შირერი, მალდინი, პეტი, ჯორკაეფი–

**შექმენით თქვენი ჩემპიონთა ლიგა!**

მსოფლიოს უპოპულარულესი თოჯინები თქვენთვის და თქვენი ბავშვებისთვის




მაღაზია „ბარბი ტეფალი“. ვაკე. ჭავჭავაძის 19

# ყველაფერი გაირკვა

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშეს ბატონ მამუკა კვარაცხელიას,*

*გაზეთ „რეზონანსის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ლაშა ტუღუშს და*

*გაზეთ „სარბიელის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ზურაბ ფოცხვერიას*

გასულ კვირაში გაზეთები „რეზონანსი“ და „სარბიელი“ გამოეხმაურნენ გაზეთ „რეზონანსის“ იმერეთის ბიუროს კორესპონდენტის ბატონ ფრიდონ კერვალიშვილის ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე აკრედიტაციის მიუღებლობის ფაქტს და ჟურნალისტის მხარე დაიჭირეს. კოლეგიალობა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ თავისი მოსაზრება გააჩნია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

გვინდა გაცნობოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა გაზეთ „რეზონანსს“ კი არა, არამედ კონკრეტულ პიროვნებას, ბატონ ფრიდონ კერვალიშვილს ეუბნება უარს აკრედიტაციაზე.

— ჟურნალისტის მოვალეობაა, სიმართლეს ემსახურებოდეს, მკითხველს სწორ ინფორმაციას აწვდიდეს და არა მონაჭორს და საკუთარ აზრს ახვევდეს. ფრიდონ კერვალიშვილი კი ხშირად ასე იქცევა — განმარტავს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი — კარგი იქნებოდა რედაქციები საქმეში გარკვეულიყვნენ, ჟურნალისტმა კარგზეც უნდა წეროს და ცუდზეც, ოღონდ ამით ობიექტურობის პრინციპებს არ უნდა ულალატოს, ვისზეც წერს, შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს, არადა ასეთი უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება, როცა თავისი ცილისმწამებლური წერილებით ჟურნალისტი გულს ტკენდა „ტორპედოს“ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, აი, თუნდაც ბოლო მაგალითი ავიღოთ, „ტორპედო“ — „ცრვენა ზვეზდას“ მატჩის რეცენზიაში კერვალიშვილი აღნიშნავს:

„სპორტული პრინციპებისთვის ამოუცნობი მეთოდებით გუნდში კვლავ მოხვედრილმა გიალო ჩხაიძემ კოციჩს მოჭრილი დაურტყა და „ტორპედოს“ კუთხური გამოუმუშავა“. როგორ ფიქრობთ, ეს ფეხბურთელ გიალო ჩხაიძისა და მწვრთნელების შეურაცხყოფა არ არის? რა იცის კერვალიშვილმა როგორი მეთოდებით მოხვდა გუნდში ეს ფეხბურთელი, რას ერჩის მას? ამ ფეხბურთელს ხომ ის მატჩი სხვაზე ნაკლებად არ უთამაშია. იგივე კერვალიშვილი არ იყო გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს ჯემალ ხერხაძეს ინფარქტი კინაღამ რომ დამართა, როდესაც სატელევიზიო გადაცემასა და საგაზეთო პუბლიკაციაში მოჭორილი ამბავი გაავრცელა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. არადა, ამის თაობაზე კლუბში ლაპარაკიც არ ყოფილა. მიკვირს, რაში სჭირდება მას ამგვარი მოქმედება და ვინ უწყობს ხელს.

„იმ გუნდის თამაშის ცქერა, ანაც ისეთი ჩემპიონატის თვალყურის დევნება და წერა, სადაც ჩემპიონის ხელმძღვანელობას პრაქტიკულად აუხსნელი მიზეზით შეუძლია ჟურნალისტს უარი უთხრას აკრედიტაციაზე, მიუღებელია. მირჩევნია, გამოთავისუფლებული დრო ოჯახს მოვახმარო“ — ეს სიტყვებიც ჟურნალისტ ფრიდონ კერვალიშვილს ეკუთვნის და რახან თვითონ ასე სურს, დაჯდეს სახლში და მოახმაროს ის დრო ოჯახს, ბოლოს და ბოლოს, ქუთაისელი კაცი ხარ, შენს ქალაქში გაკეთებული ამდენი სიკეთე უნდა გიხაროდეს: სტადიონი ევროპულ დონეზე ავიყვანეთ, ბაზაც სულ მალე უმაღლეს დონეზე მოეწყობა, შენ კი ყოველთვის ცუდს ეძებ, არც შენი ქალაქის გუნდის ჩემპიონობა და თასის აღება გიხარია, აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება იფიქროს კაცმა, როდესაც „სამგურალი“ — „ტორპედოს“ თასის ფინალის რეცენზიას კითხულობ გაზეთ „რეზონანსში“, სადაც კერვალიშვილი წერს ეროვნული სტადიონის მოედანი ტყუილად მოაცლინესო, ამ დროს შენ თასის მფლობელი ხარ, გიხარია, მაგრამ ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ გული გიფუჭდება და ყოველივე მიღწეული წყალში გადაყრილად მიგაჩნია. გაიძახოდნენ „ტორპედო“ შემთხვევით გახდა ჩემპიონიო, აგერაა, ბატონო, დაიწყო ახალი ჩემპიონატი და ჩვენმა გუნდმა ყველას, მათ შორის ძირითად კონკურენტებსაც პირად ბრძოლაში დაუმტკიცა, რომ სხვაზე ძლიერია და დამსახურებული ჩემპიონია.

— მე ყველა ობიექტურ ჟურნალისტთან კარგ დამოკიდებულებაში ვარ და პატივისცემით ვეპყრობი, ოღონდ არც ქებაში გადავიხდი ფულს და არც ლანძღვაში, კერვალიშვილს, თუ საჭირო იქნება, თავად მოვძებნი და დაველაპარაკები, ან თვითონ მოვიდეს და მოიხადოს ბოდიში, კაცი ბოროტი არ უნდა იყო, ყველას ნერვებს არ უნდა უშლიდე და ხასიათს უფუჭებდე, მე მასთან საგაზეთო პოლემიკის გამართვას არ ვაპირებ, არაკაცურად მიმაჩნია ჩემი ხასიათიდან გამომდინარე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გაზეთ „რეზონანსს“ დიდ პატივს ვცემ, აკრედიტაციასაც გავცემთ მის ნებისმიერ თანამშრომელზე, ოღონდ არა ფრიდონ კერვალიშვილზე, ჟურნალისტზე, რომელიც „პოპულარიზაციის“ მოსაპოვებლად არაფერს ერიდება.

*პატივისცემით*

*შპს ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“*
*პრესატაშე ჯემალ ფირცხალავა*

*ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ ეს წერილი „სარბიელის“ რედაქციაში გუშინ მივიღეთ და ყველაფერი გაირკვა.*

*გაირკვა, რომ „რეზონანსის“ ჟურნალისტს ფრიდონ კერვალიშვილს სეზონური აკრედიტაცია მისი ნაწერისა და საერთოდ, არაქუთაისური აზრების გამო ჩამოერთვა; გაირკვა, რომ ეს გადაწყვეტილება ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ მიიღო; გაირკვა, რომ თურმე აქეთ გვქონია ბოდიში მოსახდელი; გაირკვა, რომ ყველას პატივს გვცემენ, მაგრამ თუ ჩვენი პუბლიკაციებიდან რაიმე არ მოეწონათ, ჩვენც კერვალიშვილს მიგვაყოლებენ.*

*ცხადია, მსგავსი დამოკიდებულება შეუძლებელს ხდის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოსა“ და ჟურნალისტების ნორმალურ, ცივილიზებულ ურთიერთობას. სხვა რა დაგვრჩენია: უარყოფითზე „ვაშას“ ძახილს და ქუთაისში მივლინებულ ჩვენს თანამშრომლებზე ნერვიულობას საერთოდ არაფრის წერა ვარჩიეთ. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუბოდიშებთ „სარბიელის“ მკითხველს და ვაცნობებთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონიდან ანი მხოლოდ მატჩების ოქმებს გაგაცნობთ. ცხადია, ბოიკოტი უვადო არაა, ვინაიდან ნორმალური ურთიერთობების აღდგენის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვართ.*

***„სარბიელის“ ფეხბურთის რედაქცია***

*P.S. 1966 წლის ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის სამშობლო ინგლისმა საკუთარ „უემბლიზე“ გერმანია დაამარცხა და პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. მეორე მშვენიერ დღეს ამ ქვეყნის ყველაზე ცნობილი გაზეთის, „თაიმზის“ პირველ გვერდზე ასეთი სათაური გამოჩნდა: „სჭირდება კი მსოფლიოს ასეთი ჩემპიონი?“ ამ წერილის ავტორი ბრაიან გლენვილი დღესაც დიდი ჟურნალისტი და არანაკლებ დიდი ინგლისელია.*

# მსაჯები ითხოვენ, მოითხოვენ და გვპირდებიან

**მეთორმეტე** ეროვნულ ჩემპიონატს თავიდანვე არეულობა და აყალმაყალი დაებედა. ძირითადი პრობლემა და სატკივარი მსაჯობა შეიქნა. ბევრს აგინეს, რამდენიმეს სცემეს, მანქანაც დაუმტვრიეს და ასე შემდეგ.

ამდენ კრიტიკას ველარ გაუძლო სამსაჯო კომიტეტმა და გუშინ ფეხბურთის ფედერაციის თანადგომითა და მხარდაჭერით სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია მოეწყო.

დარბაზში იყო ბევრი მსაჯი, მათი ხელმძღვანელები, ზოგიერთი გუნდის მწვრთნელი და წარმომადგენელი, ასევე სამი ჟურნალისტი.

თავიდან ყველაფერი მშვიდობიანად დაიწყო, მერე საუბარი კამათში გადაიზარდა, რასაც ემოციების მოზღვავება მოჰყვა და სამსაჯო კომტიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო ისე განერვიულდა, ლამის მოსაბრუნებელი შეიქნა. ბოლოს ისევ მშვიდობამ დაისადუგრა და თითქმის ყველა ხუმრობის ხასიათზე დადგა.

„გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თუ იყო გარკვეული შეცდომები მსაჯების მხრიდან, ეს წინასწარ განზრახული არ ყოფილა. ჩვენის მხრიდან ვიძლევით გარანტიას, რომ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის თამაშებს მოვემსახუროთ სრული პასუხისმგებლობით, ობიექტურად და კეთილსინდისიერად“ — ასე ბოლოვდება ის წერილი, რომელიც მსაჯებმა პრესკონფერენციის დაწყებამდე წარუდგინეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას. წერილს სულ 19 მსაჯი აწერდა ხელს.

აღნიშნული აქტი გადმოგვეცა ჟურნალისტებსაც. მილჩენკოს სამწყსო ითხოვს და გვპირდება, მაგრამ ამავდროულად მოითხოვს კიდეც როგორც ფედერაციისაგან ასევე მისი აღმასკომისგან: „იმ დამრღვევი გუნდების მიმართ, რომლებიც მსაჯებს მიაყენებენ შეურაცხყოფას და არ დაიცავენ მსაჯთა უსაფრთხოებას, გატარდეს მკაცრი ზომები. ჩვენი აზრით, სიტუაციას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და გუნდების პასუხისმგებლობას გაზრდის, მათთვის 5 ან 3 ქულის ჩამორთმევის წესის დამკვიდრება.“

ფეხბურთის ფედერაციას ადრე პრაქტიკაში კი ჰქონდა მსგავსი წესი, მაგრამ მაშინ მოწინააღმდეგეც ბევრი იყო. ვნახოთ, რას იტყვიან დღევანდელი ხელმძღვანელები. როგორც სამსაჯოს თავკაცებმა გვითხრეს, პრეზიდენტმა მათ ყოველმხრივ დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა.

ფიფას არბიტრმა მერაბ მალაღურაძემ კოლეგების სახელით ჟურნალისტებს მოგვმართა: „ჩვენ ვითათბირეთ და ასე შევთანხმდით, ყველაზე ობიექტურ და სამართლიან ჟურნალისტს სეზონის ბოლოს ოქროსწვერიანი კალმით დავაჯილდოებთ.“

მალაღურაძეს არ დაუკონკრეტებია, ობიექტური და სამართლიანი ჟურნალისტი ვინ და როგორ უნდა გამოავლინოს, მაგრამ ნათქვამი დაფიქსირებულია და უკან არ დავიხევთო, თქვეს მსაჯებმა.

კეთილი და პატიოსანი, თუმც ჯილდო ცალმხრივი რომ არ გამოვიდეს და მერე ვინმემ ქრთამის აღებაში არ დაგვადანაშაულოს, უახლოეს დღეებში სპორტული ჟურნალისტებიც შევიკრიბებით, ვითათბირებთ და მეთორმეტე ეროვნულის საუკეთესო მსაჯი იქნებ მოოქროვილი სასტვენით დავაჯილდოვოთ. მაშინ ნაღდად ბარი-ბარში ვიქნებით.

შეკრება და სჯა-ბაასი თუ კამათი ურიგო ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ გუშინდელმა დღემ პასუხი ვერ გასცა მთავარ კითხვას, რატომ არ ენდობიან მსაჯებს ქომაგები, რატომ სცოდავენ მწვრთნელ-ფეხბურთელები, რატომ ცდებიან მსაჯები.

ყველაფრის თავიდათავი ეჭვი და ერთმანეთისადმი უნდობლობა მგონია და



ანატოლი მილჩენკო

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საქმე უახლეს მომავალში ვერ გამოსწორდება. მთავარია, პრეზიდენტ-მწვრთნელ-ფეხბურთელებმა მოინდომონ და მსაჯებმა თავიანთი კეთილსინდისიერება საქმით დაამტკიცონ. ფაქტი კი ერთია, ასე გაგრძელება არ შეიძლება.

სანამ მასპინძლებს დავემშვიდობებოდით, მეხუთე ტურზე დასანიშნი მსაჯების წილისყრა მოეწყო. თითო-ოროლა უთანხმოება კი მოხდა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სწორედ მაშინ შევნიშნე ის უნდობლობა, ზემოთ რაც მოგახსენეთ, თუმც ვაღიარებ, რომ წილისყრა ობიექტურად ჩატარდა.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია და სამსაჯო კომიტეტს წილისყრის შესახებ მოკრძალებულ აზრს ვკადრებდი.

არ არის საჭირო წილისყრა და ვითომ საჯაროობა. თითეული მსაჯის ავანჩავანი, მომზადების დონე და შესაძლებლობები სამსაჯო კომიტეტზე უკეთ არავინ უწყის. ამიტომ თავად დანიშნეთ მსაჯები და თავად აგეთ მათ ნაშრომზე პასუხი. ყოველივე, ალბათ, დავის საბაბს მოსპობს და არ იქნება ორომტრიალიც.

საბოლოოდ ასეა, მსაჯ-დელეგატთა ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპას ბოლო უნდა მოეღოს. ამისთვის კეთილი ინებონ და ყველაფერი გაიღონ გუნდებმა, პრეზიდენტ-მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და მსაჯებმა. ასე ფეხბურთი წინ ველარ წაიწევს საქართველოში.



ჩვენი მსაჯები ამ ზამთარს უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრმა ალექს პონემ ამეცადინა

**მამუკა ძვანტალიანი**

# დინამოში: ცხადაძე, შელია, კიკნაძე

**უახლოეს** მომავალში საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ სამი გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერდება. 17 სექტემბერს, ჩემპიონატის მეხუთე ტურში არა, მაგრამ მეექვსეში კი თბილისელებს საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე, მურთაზ შელია და გიორგი კიკნაძე დაემატებიან. სამივე ეს ფეხბურთელი დღესდღეობით „დინამოში“ ვარჯიშობს. გუნდის მწვრთნელ რევაზ არველაძის თქმით, მახაჩყალის „ანჟიდან“ ალექსანდრე გოგობერიშვილის დაბრუნება ჯერჯერობით გამორიცხულია.

ახლა, იქნებ იკითხოთ, „დინამოს“ ფიფასგან სატრანსფერო საქმიანობა აკრძალული რომ აქვს, ზემოხსენებულ სამ ფეხბურთელს როგორღა იმატებსო. ვიტყვით, კახა ცხადაძე „მანჩესტერ სიტიდან“ ექვსი-შვიდი თვის წინ გათავისუფლდა და ის „დინამომ“ მიმდინარე ჩემპიონატისთვისაც განაცხადა, ისევე, როგორც მურთაზ შელია, რომელიც „სიტის“ კახაზე გაცილებით ადრე დაეხსნა. გიორგი კიკნაძე კი თურქულ „სამსუნსფორში“ განათხოვრებული გახლდათ და ახლა მისი „დინამოში“ თამაში ყველანაირი წეს-კანონით შეიძლება.

**ძოგა ინასარიძე**

# წყალი ბათუმის სასტუმროში

**ბათუმის** „დინამოს“ სტადიონი ცოტა ხანში კიდევ უფრო კეთილმოეწყობა. ზღვისპირა სარბიელს სასტუმრო დაამშვენებს. აღმოსავლეთი ტრიბუნის ქვეშ სამუშაოების 70 პროცენტი უკვე დამთავრებულია, თუმც მუშებს ჯერჯერობით საქმე აღარა აქვთ და დროებით უქმად არიან.

ალბათ მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ ტრიბუნა წყალს ვერ აკავებდა და წვიმისას მშენებარე სასტუმრო სანახევროდ იტბორებოდა, საქმე ხელახლა საკეთებელი ხდებოდა. ახლა, ორიოდ დღეში ამ ტრიბუნას შესაბამისს იზოლაციას გაუკეთებენ, ნეშოვან ხსნარს მოასხამენ, რაც წყალს აღარ გაატარებს. საამისო მასალა „ბათუმმა“ გუშინწინ გერმანიიდან მიიღო და სამუშაოებიც განახლდება.

სასტუმროს 22 ორადგილიანი ოთახი ექნება, საერთო კვების ბლოკით. იქ ყველანაირი პირობა შეიქმნება დასვენებისთვის. ამგვარი სტადიონი არც ერთ ქართულ კლუბს არა აქვს, ბათუმი პირველია.

**ლუკა თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. E ჯგუფი

### პანათინაიკოსი 1:1 დეპორტივო

1:0 ვარჟიხა (29), 1:1 ნაიბეტი (84)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი, პაულუ სოუზა (პფლიპსენი 57), კოლა (სიპნიევსკი 77), კარაგუნისი, ბასინასი, ვარჟიხა (კუცურესი 69), ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი (ვალერონი 73), ფრანი, პანდიანი, ვიქტორი (სკალონი 82), დიეგო ტრისტანი (სეზარ სამპაიო 87)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
52 000 მაყურებელი

**ხალისიანად** დაიწყო წლევანდელი ლიგა. გოლები ხომ გადის და არც დრამატულობა თუ ამოდ საცქერი სანახაობა აკლია.

ათენში ფეხბურთელებს ბევრი არ გაუტანიათ, მაგრამ დაძაბული მატჩი კი გამოვიდა. ესპანეთის ჩემპიონი მაროკოელმა მცველმა გადაარჩინა. დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ნურედინ ნაიბეტის გოლმა „დეპორტივოს“ „პანათინაიკოსთან“ ანგარიში გაათანაბრებინა. ნაიბეტმა ბერძენთა დანიელი მცველის რენე ჰენრიკსენისა და მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისის შეუთანხმებლობით ისარგებლა.

„პანათინაიკოსმა“ კარგად ითამაშა. მინდორზე სიტუაციასაც აკონტროლებდა და გატანის რამდენიმე ჩინებული შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ შანსი მხოლოდ ერთხელ, 29-ე წუთზე გამოიყენა, როცა პორტუგალიელი პაულუ სოუზას პასით პოლონელმა კჟიშტოფ ვარჟიხამ შეაგდო.

ჩვენი ბერძენი კოლეგების მტკიცებით, „პანათინაიკოსის“ საქმეები მას შემდეგ აირია, რაც მწვრთნელმა პაულუ სოუზა მინდვრიდან გაიყვანა. ეს ამბავი მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა. „დეპორტივომ“ ნელ-ნელა დაალაგა თამაში და მეტად რომ ეყოჩაღა, ეგებ მოეგო კიდეც.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ბერძენთა დამრიგებელმა ანგელოს ანასტასიადისმა შეცვლები იძულებით გააკეთა — სოუზა და ვარჟიხა მეორე ნახევარში თავს უქეიფოდ გრძნობდნენ: „პრობლემები მატჩის მსვლელობისას გაგვიჩნდა. რა უნდა მექნა, წამყვანი ფეხბურთელები იძულებით შევცვალე. ამან, ცხადია, გუნდის თამაშზე უარყოფითად იმოქმედა“ — თქვა ანასტასიადისმა.

„პირველ ტაიმში „პანათინაიკოსმა“ გვაჯობა. კარგი გუნდი ყოფილა. მეორეში კი აშკარად დავჯაბნეთ. „დეპორტივომ“ საკუთარი თამაში იპოვა და დიდებულადაც ითამაშა“ — ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ესპანელ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას.

განა ესპანეთის ჩემპიონთან ფრე ურიგო შედეგია? მაგრამ ანასტასიადისი მაინც გულდაწყვეტილი იყო. ალბათ იმიტომ, თამაში რომ უკვე მოგებული ეგონა, საპასუხო მაშინ შეუგდეს: „ბიჭების თამაშით ნასიამოვნები დავრჩი. კარგად ვითამაშეთ და უნდა მოგვეგო, მაგრამ საგოლე მომენტებისას ბედი არ გვწყალობდა“ — ესეც ანასტასიადისის სიტყვებია.

ბერძნებს პრობლემები შუა ხაზში ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ტანმორჩილი ნორვეგიელი ერიკ მიუკლანდი გერმანულ „მიუნხენში“ გაუშვეს, ნახევარდაცვა ერთობ არასტაბილური გაუხდათ. პაულუ სოუზას გარდა ანასტასიადისს ალბანელი ბლეიდარ კოლასი სჯერა, მაგრამ აბა, კოლას იმედზე ჩემპიონთა ლიგაში როგორ უნდა ითამაშო...

ამ ჯგუფის უდავო ფავორიტი, ცხადია, „იუვენტუსია“, „დეპორტივოს“ კი მეორე ეტაპზე გასასვლელად „ჰამბურგთან“ დიდი ჭიდილი მოუწევს. თუმცა... თუმცა ეს ყველაფერი ერთი შეხედვით. აი, მაგალითად, ბერძნებს სჯერათ, რომ „ბებერ ქალბატონთან“ ერთად ჯგუფიდან ისინი გავლენ და ვინ იცის, ეგებ მართლებიც არიან. ანგელოს ანასტასიადისი თავისი თავდამსხმელების იმედზეა: ნიკოლაოს ლიბეროპულოსი, ხორვატი გორან ვლაოვიჩი, ისლანდიელი ჰელგი სიგურდსონი და 35 წლის კჟიშტოფ ვარჟიხა. წესით, „პანათინაიკოსი“ ამათმა გოლებმა უნდა ალაზევოს, მაგრამ განა ჰამბურგელებსა და ლაკორუნიელებს სძინავთ...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 24.10 | 26.09 | 19.09 | 4:4 | 1 |
| 2 | ჰამბურგი | 4:4 | | 27.09 | 26.09 | 4:4 | 1 |
| 3 | დეპორტივო | 18.10 | 19.09 | | 24.10 | 1:1 | 1 |
| 4 | პანათინაიკოსი | 8.11 | 18.10 | 1:1 | | 1:1 | 1 |






REUTERS [illegible]

მასპინძელთა პოლონელი თავდამსხმელის კჟიშტოფ ვარჟიხას (მარცხენა ფოტოზე) გოლი სტუმრებმა 84-ე წუთზე გაქვითეს

### ჰამბურგი 4:4 იუვენტუსი

0:1 ტუდორი (5), 1:1 იებოა (17), 1:2, 1:3 ინძაგი (36, 53), 2:3 მაჰდავიკია (65), 3:3 ბუტი (72პ), 4:3 კოვაჩი (82), 4:4 ინძაგი (88პ)
ჰამბურგი: ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰოლერბახი (კეტელაერი 46), ნ. კოვაჩი, გროთი (ტოფტინგი 27), კარდოზო (პრეგერი 66), ბარბარესი, იებოა, მაჰდავიკია
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, იულიანო (ბირინდელი 58), ტუდორი, ფერარა, პესოტო, ტაკინარდი, დავიდსი, ონილი (ზაკინი 73), ზიდანი, დელ პიერო (კოვაჩევიჩი 58), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

ამ მატჩის ვრცელი მიმოხილვა
**კაცი, რომელიც ამაყად ივლის**
იხილეთ 5 გვერდზე
ტურის მატჩი

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. F ჯგუფი

### ჰელსინგბორგი 1:3 ბაიერნი

0:1 შოლი (7), 0:2 სალიჰამიჯიჩი (48), 0:3 იანკერი (54), 1:3 ბ. იოჰანსენი (90)
ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვაცი, ბ. იოჰანსენი, უ. იანსონი (ი. იანსონი 76), პერსონი, ჰანსონი, ს. იოჰანსენი (ეკლუნდი 61), კ. ანდერსონი (პრიკა 73), ალვარო
მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი
ბაიერნი: კანი (ვესელსი 66), სანიოლი, ლიზარაზუ, კუფური, პ. ანდერსონი, ვისინგერი, შოლი (შტრუნცი 65), სფორცა, ფინკი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი 83)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაძევება: კუფური (37)
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
12 623 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის ტურნირი სტუმრად აქამდე სულ ორჯერ დაიწყო: 1994 წელს ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ ესტუმრა, ორი წლის წინ კი დანიურ „ბრონდბიუს“. გერმანული სუპერკლუბი ორჯერვე დამარცხდა — პირველად 0:2, მეორედ 1:2. გუშინწინ ნავსი გატყდა. მიუნხენელებმა „ჰელსინგბორგთან“ მთელი მატჩი თავიანთი კარნახით წარმართეს და იოლ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ტრავმებით გატანჯული „ბაიერნი“ შვედეთს შესუსტებული ეწვია. კვლავ არ იყვნენ ელბერი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, იერემისი და ციკლერი. გუნდის თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა ეტყობა გაითვალისწინა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ჰელსინგბორგმა“ „ინტერი“ დაამარცხა და სიფრთხილე გამოიჩინა — თავდასხმაში მხოლოდ იანკერი გაამწესა, თუმცა შვედებს ესეც ეყოთ. იანკერმა „ჰელსინგბორგის“ მცველები დააწიოკა და გოლიც გაუტანა, თუმც ეს გვიან მოხდა, როცა „ბაიერნი“ უკვე 2:0-ს იგებდა.

ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა — შოლმა ვისინგერის პასი მიიღო და კარგი დარტყმით თავისიანები დააწინაურა. მატჩი სტუმრების უპირატესობით გაგრძელდა, „ჰელსინგბორგს“ კი მხოლოდ ერთხელ მიეცა თამაშში გარდატეხის შეტანის შანსი, მაგრამ ისიც დაკარგა: 38-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილი ალვარო სანტოსი კუფურმა უხეშად მოცელა. ინგლისელმა ბარბერმა პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, კუფური კი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევა. კანი რა კანი იქნება, გაჭირვებაში ჩავარდნილ გუნდს მხსნელად არ მოვლენოდა და ოლა ნელსონის დარტყმული ბურთი წარმოუდგენელი ნახტომით კუთხურზე მოიგერია. გაფუჭებულმა პენალტმა მასპინძლებს ნირი წაუხდინა, სტუმრებმა კი ისე განაგრძეს მატჩი, თუ არ იცოდით, ვერც შეატყობდით, რომ მინდორზე ათნი იყვნენ.



REUTERS ჰელსინგბორგიდან

ჰელსინგბორგი — ბაიერნი 1:3. შვედებს ეული კარსტენ იანკერიც (შუაში) ეყოთ

მეორე ნახევარი „ბაიერნმა“ დიდებულად ჩაატარა. 48-ე წუთზე სალიჰამიჯიჩმა იხეირა. მალე იანკერმაც ივარგა და პატრიკ ანდერსონის პასი გოლად აქცია. 66-ე წუთზე კი „ბაიერნს“ დიდი უსიამოვნება შეემთხვა, ერთბაშად ორი ლიდერი — ოლივერ კანი და მეჰმეთ შოლი დაუშავდა. ორივე შესაცვლელი შეიქნა. კანს მხარი ეტკინა, შოლს — მუხლი, თუმცა, როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, საშიში არაფერია. „უბრალოდ, გართულებას მოვერიდე, 3:0-ს ვიგებდით და გარისკვა აღარ ღირდა“ — აღნიშნა კანმა მატჩის შემდეგ. მის შემცვლელ ვესელსს კი შვედებმა თამაშის მიწურულს ერთი ბურთი გაუქვითეს.

„საოცარი მომენტი იყო, მეხსიერებიდან არასოდეს წამეშლება ის ეპიზოდი, კანმა რომ პენალტი აიღო“ — მეკარის თამაშით გაოგნებული იყო ნანე ბერგსტადი, „ჰელსინგბორგის“ თავკაცი. ოტმარ ჰიცფელდმა კი შეგირდები შეაქო, კარგად ვითამაშეთო, თქვა, ბოლოს კი ღმერთს მადლობა შესწირა, კანის ტრავმა რომ იოლი აღმოჩნდა.

### რუსენბორგი 3:1 პარი სენ ჟერმენი

0:1 კრისტიანი (7), 1:1 ბერგი (17), 2:1 ფ. იონსენი (62), 3:1 სკამელსრუდი (90პ)
რუსენბორგი: არასონი, ჰოფტუნი, ბასმა, რ. სტრანდი (კნუტსენი 77), ო. ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, სკამელსრუდი, ვინსნესი, ბ. იონსენი, სტენსაასი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ელ კარკური, ლუქსენი, კრისტიანი (ლერუა 81), დალმა, დეუ, ალჟერინო, ესისე, დისტინი, რობერი (ოკოჩა 66), ანელკა
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
13 921 მაყურებელი

**ეჰ, რა წყალში** ჩაუყრია „პარი სენ ჟერმენის“ ხელმძღვანელობას ის 450 მილიონი ფრანგული ფრანკი, ამ ზაფხულს ტრანსფერებზე რომ დახარჯა? რაც მოითხოვა მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ ბერჟერომ, უფროსობას უარი არაფერზე უთქვამს, თვით ანელკაში 235 მილიონი ფრანკის გადახდაზეც კი. რა მოიგო ამით პსჟ-მ? განვლილი მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, არც არაფერი.

ტრონჰეიმში „რუსენბორგთან“ მატჩი ფრანგებმა კარგად დაიწყეს და მე-7 წუთზე ანელკას დარტყმულისა და კრისტიანის დამატებულის შემდეგ წინაც გავიდნენ, მაგრამ როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს შემთხვევითობა იყო. ნორვეგიელებს გონს მოსასვლელად ათი წუთი დასჭირდათ, მერე კი საქმესაც შეუდგნენ. მე-17 წუთზე აუტიდან საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი ბერგმა თავით ლეტიზის მარცხენა კუთხეში დაურტყა, მეკარემ ბურთს ხელი კი წაატანა, მაგრამ ვერაფერს გახდა — 1:1. ტაიმის ბოლომდე მასპინძლებს ერთი-ორი მომენტიც ჰქონდათ, რომლებსაც შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ნახევარიც მასპინძელთა შეტევით წარიმართა. მართალია, მათ სიმწვავე აკლდა, მაგრამ გოლი მაინც გავიდა — სკამელსრუდის ჩინებული ფინტისა და პასის შემდეგ ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ფროდე იონსენმა ფრანგები მეორედ დაამწუხრა. ამან სტუმრები გააქტიურა, ბერჟერომ ნიგერიელი ჯეი-ჯეი ოკოჩაც შეიყვანა მოედანზე, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომისაგან გვარიანად ჩასუქებული ფეხბურთელი არასონს, აბა, რას დააკლებდა. ბოლოს ნორვეგიელებმა, სტუმრების მოშიშვლებული დაცვა რომ შეამჩნიეს, სწრაფი კონტრშეტევები განახორციელეს და 90-ე წუთზე მიზანსაც მიაღწიეს: დისტინმა ბერგი წააქცია, სკამელსრუდმა კი პენალტით საბოლოო წერტილი დასვა — 3:1.

„არ ველოდი, თუ „რუსენბორგი“ ასე კარგად ითამაშებდა. ნორვეგიელებმა ყველა გზა მოგვიჭრეს. მეორე ტაიმი მათ ისე ჩაატარეს, გამარჯვების იმედი დაგვეკარგა“ — თქვა ბერჟერომ. ნორვეგიელთა თავკაცი ნილს ეგენი კი კმაყოფილებას ვერ მალავდა: „ჩემი გუნდის თამაშით ვისიამოვნე. გაგვიმართლდა კიდეც, ანგარიში მალე გავათანაბრეთ. ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ ყველამ დაინახა — ჩვენც შეგვიძლია მაღალი დონის ფეხბურთის ჩვენება.“

**მანო ოქროპირიძე**

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 19.09 | 18.10 | 24.10 | 3:1 | 3 |
| 2 | რუსენბორგი | 8.11 | | 3:1 | 26.09 | 3:1 | 3 |
| 3 | პსჟ | 24.10 | 24.10 | | 19.09 | 1:3 | 0 |
| 4 | ჰელსინგბორგი | 1:3 | 18.10 | 8.11 | | 1:3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. G ჯგუფი




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ანდერლეხტი 5:1. დევიდ ბექჰემმა ტყვია-ტყვიაში პასები არიგა



REUTERS ეინდჰოვენიდან

დემე ნიკიფოროვს გასცდა, მაგრამ...

### პსვ ეინდჰოვენი 2:1 დინამო

0:1 შაცკიხი (6), 1:1 ლუსიუსი (38), 2:1 ბრუგინკი (52)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი (ოიერი 82), ჰაინცე, კლაუდიო (ლუსიუსი 37), ვოგელი, ვან ბომელი, ბოუმა, კეჟმანი, ბრუგინკი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
დინამო: შოვკოვსკი, ხაცკევიჩი (კუზმიჩევი 73), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, ნესმაჩნი, ბელკევიჩი, გუსინი (მოროზი 82), შაცკიხი (სერებრენნიკოვი 73), დემეტრაძე
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
28 000 მაყურებელი

**ერთობ** ნოყიერი აგვისტო უკრაინულ ფეხბურთში ნამეტანი მოუსავლიანმა შემოდგომამ შეცვალა: ჯერ ეროვნულმა გუნდმა ჭამა სირცხვილი, სამშაბათს დონეცკელ მეშახტეებს გააცნეს კიბორჩხალათა გამოზამთრების მეთოდები, გუშინწინ კი ქულათა გვალვამ ხელი კიევის „დინამოსაც" დარია.

უკრაინელთა შველა ვერც მზიური და ბარაქიანი საქართველოს შვილებმა შეძლეს. კალაძეცა და დემეტრაძეც ძალიან კი ეცადნენ, მაგრამ მატჩის ბოლოს ეინდჰოვენის სტადიონის ტაბლოზე მაინც მათთვის არასასურველი შედეგი ენთო.

ერთი ხანობა საქმეს სტუმართათვის სასიკეთო პირი უჩანდა — შაცკიხმა მეექვსე წუთზევე შეაგდო და ამის მერეც, კარგა ხანი, შოვკოვსკის თავისივე მცველები თუ აწუხებდნენ. სიტუაცია 37-ე წუთზე შეიცვალა, როცა „დინამოების" გამწვრთნელმა ... — „დინამოების" გამწარების თვრამეტწლიანი სტაჟის მქონე ერიკ გერეტსმა მოედნიდან ბრაზილიელი თავდამსხმელი კლაუდიო გაიყვანა და მის ნაცვლად ადგილობრივი ტეო ლუსიუსი შეუშვა. „წესით, კლაუდიოს შეტევის წინა ხაზზე, მარჯვნიდან უნდა ეთამაშა და მეტოქის მარცხენა მცველი გაეწამებინა, მაგრამ მან რატომღაც ჩემი დავალება არ შეასრულა და მოედნის შუაგულში თამაში ამჯობინა. ეს კი მისთვის იდეალური ადგილი სულაც არაა" — ასე ახსნა მასპინძელთა მწვრთნელმა მოულოდნელი შეცვლა.

კლაუდიოს მოუგია თამაში! მწვრთნელს არ დაუჯერა და გამოცვალეს, შემცვლელმა ლუსიუსმა კი მოედანზე ფეხის დადგმიდან ერთ წუთში მოჭრილი თავურით გაათანაბრა, 52-ე წუთზე კი არნოლდ ბრუგინკს ჩაუწოდა საგოლე — 2:1. დარჩენილ დროში ჰოლანდიელებს უფრო ჰქონდათ მესამე გოლის გატანის შანსი, ვიდრე სტუმრებს გათანაბრებისა.

დემეტრაძე ბოლო წუთზე იტალიელ მსაჯს პენალტს სთხოვდა, ყვითელ ბარათს კი გამორჩა — ჰაინცეს რას ერჩი, თავად წაიქციო.

### მანჩესტერი 5:1 ანდერლეხტი

1:0 კოული (15), 2:0 ირვინი (29პ), 3:0 შერინგემი (42), 4:0 კოული (50), 4:1 კოლერი (55), 5:1 კოული (72)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. იონსენი, სილვესტრი, ირვინი (ფ. ნევილი 69), ბექჰემი, კინი, სქოულზი, გიგზი (სოლსკიაერი 59), შერინგემი, კოული (იორკი 74)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, სტალენსი, დე ბოეკი, დეედენი, ვან დიემენი, ვანდერეგე, ბასეჯიო, გოორი (ილიჩი 59), კოლერი, რაძინსკი (იულა 59)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ტერიე ჰაუგი (ნორვეგია)
62 749 მაყურებელი

**ფაბიენ ბარტეზს** თავისუფლად შეეძლო ამ მატჩისთვის თვალი ტრიბუნიდან ედევნებინა. ფრანგი მეკარე სულ სამჯერ ჩაერთო თამაშში: ერთხელ დეედენის საჯარიმო მოიგერია, ერთხელ რაძინსკის დარტყმულს შეაგება ფეხი, ერთხელაც გოლი გაუშვა. ზემოთმოყვანილი ორი მომენტიც რომ გოლად ქცეულიყო, სამი გამოვიდოდა. შესაბამისად, „მანჩესტერი" მაინც მოიგებდა.

რა უნდა ეთქვა ალექს ფერგიუსონს მატჩის შემდეგ? ის, რომ „ანდერლეხტი" სპარინგ-პარტნიორადაც ვერ გამოდგა, ცხადი იყო. „გოლების ოდენობით კმაყოფილი ვარ" — სერისთვის დამახასიათებელი თავშეკავებით აღნიშნა შოტლანდიელმა. არც მის კოლეგას, ემე ანტუნესს ჰქონდა ბევრი სათქმელი: დღეს ჩვენ სხვა პლანეტის გუნდთან წავაგეთო — საქმის ვითარება ასე ახსნა.

„უცხოპლანეტელთაგან" სამი კაცი გამოვარჩიოთ. პირველი ენდი კოულია, ვინც ჩემპიონთა ლიგაში შესრულებული მეორე ჰეთ-თრიქით აქამდე „იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო ევრობომბარდირის, ლეგენდარული დენის ლოუს შედეგი (14 გოლი) ერთბაშად სამით გააუმჯობესა და ნაკრების მწვრთნელ კევინ კიგანს მორიგი გამოწვევა გაუგზავნა. ვთქვათ რაიან გიგზზეც: უელსელი რომ არა, შეხვედრა უფრო მრავალფეროვანი გამოდგებოდა, მაგრამ ამან მარცხენა ფრთა ისე დაიპყრო, სხვა მხრიდან შეტევას აზრი დაუკარგა. და კიდევ გარი ნევილი, ვინც სტუმართა პოტენციურად ყველაზე საშიშ თავდამსხმელს, ჩეხ იან კოლერს თითქმის მარტოდმარტო გაუმკლავდა.

აღარაფერს ვიტყვით დევიდ ბექჰემზე — ტედი შერინგემისა და ენდი კოულის მესამე გოლები მისი ტრადიციული, ტყვია-ტყვიაში პასებიდან გავიდა.

**გიგა ძობახიძე**

| G ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 18.10 | 8.11 | 5:1 | 5:1 | 3 |
| 2 | პსვ | 26.09 | | 2:1 | 8.11 | 2:0 | 3 |
| 3 | დინამო | 19.09 | 24.10 | | 26.09 | 1:2 | 0 |
| 4 | ანდერლეხტი | 24.10 | 19.09 | 18.10 | | 1:5 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. H ჯგუფი

### ბარსელონა 4:0 ლიდსი

1:0 რივალდო (8), 2:0 დე ბური (20), 3:0, 4:0 კლუივერტი (74, 84)
ბარსელონა: დუტრუელი, აბელარდო, ფ. დე ბური, სერხი, კოკუ (პეტი 54), ხერარდი, სიმაო, რივალდო (ალფონსო 73), ოვერმარსი, დანი (დე ლა პენია 65), კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ლიდსი: მარტინი, კელი, დაბერი, რადებე (ჰეი 88), ბარტი, ბოიერი, მაკფაილი (მაკვორთი 73), დაკური, მილსი, სმიტი, ბრიჯისი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
90 000 მაყურებელი

**„ფეხბურთელებს** ვეუბნებოდი, შემოდგომაზე დიდი ანგარიშით მოგებული თამაშები არაფერს ნიშნავს, მთავარია, გაზაფხულზე ვიმარჯვოთ-მეთქი" — ეს ლუის ვან გაალის სიტყვებია, წინა სეზონში „ვალენსიასთან" ნახევარფინალური მარცხის შემდეგ თქმული. მაშინაც, ჩემპიონთა ლიგის პირველ საშინაო მატჩში კატალონიელებმა ოთხი გოლი გაიტანეს, მეტოქედ კი „ფიორენტინა" ჰყავდათ.

დღეს „ბარსელონაში" ვან გაალი აღარ მუშაობს, შემადგენლობაშიც საკმაო ცვლილებებია, საგაზაფხულო პროგნოზების კეთებაც ნაადრევი უნდა იყოს, მაგრამ „ბარსამ" თამაში ისე დაიწყო, როგორც ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს პრეტენდენტს ეკადრება.

სახიფათო მომენტების აღწერას არ შევუდგებით. მარტო „ბარსელონას" ასეთი იმდენი ჰქონდა, ჩამოსათვლელად ადგილი არ გვეყოფა. გოლის გატანა „ლიდსსაც" შეეძლო, თუმცა ინგლისელები მეტოქესავით ხშირად არ უტევდნენ.

ამ თამაშმა ერთხელაც დაგვანახა ის, რაც ადრევე ვიცოდით — ბარსელონელთა შეტევები ჩანასახშივე უნდა ჩაკლა, თორემ საჯარიმომდე თუ მიუშვი, აუცილებლად გაიტანენ. ცხადია, ეს დევიდ ოლირისაც მოეხსენებოდა. სხვა მატჩები თუ არა, წინა სეზონის „ბარსელონა" — „ჩელსი" ხომ მაინც ჰქონდა ნანახი. მაგრამ ნახვა ერთია, გუნდებს შორის კლასში ჩამორჩენა კი — მეორე და ალბათ „ლიდსის" განადგურების მთავარი მიზეზიც.

ბრწყინვალე იყო „ბარსელონას" ოთხივე გოლი. მასპინძელთა ერთ-ერთი პირველი შეტევისას ლიდსელები უხეშად შეცდნენ — საჯარიმოს ხაზთან რივალდო უმეთვალყურეოდ მიატოვეს. ბრაზილიელმა პასი მიიღო და სანამ ორი მეურვე მასთან მიირბენდა, გაიტანა. მერე ფრანკ დე ბურის ჯადოსნური ჯარიმაც — უზუსტესად ჩაჭრილი ბურთი კარის მარჯვენა ზედა კუთხეში და პატრიკ კლუივერტის ორი საგოლე გარღვევა მატჩის ბოლოს. ამ კაცს პენალტს ნუ დაარტყმევინებთ, თორემ მცველები როგორ ჩამოიცილოს, იცის.

სხვა ამბებიდან კი მნიშვნელოვანი ლიდსელთა კაპიტნის ლუკას რადებეს დამტვრევაა. რადებე და მისივე თანაგუნდელი მაიკლ დაბერი თავებით შეასკდნენ ერთმანეთს. თავი გადარჩა, სამხრეთაფრიკელის კისერი — ვერა.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, დევიდ ოლირიმაც და ლორენს სერა ფერერმაც მეტწილად „ბარსელონაზე" ისაუბრეს. კატალონიელმა თავისი ფეხბურთელები დიდ აქო და თქვა, მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქომაგებს ბედნიერებს ვხედავო. ფერერს არც ინგლისელი კოლეგა ჩამორჩა და სიამაყეს ვგრძნობო, განაცხადა. ნეტავ, რის გამოო, გაოცდებით. ერთი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვართ და მეორეც, ფანტასტიკური გუნდი გვერგო მეტოქედო, უთქვამს ოლირის, თუმცა... სიამაყე და სიხარული მერე ნახეთ, საპასუხო მატჩს რომ მოვიგებთო.

### მილანი 4:1 ბეშიქთაში

0:1 ტაიფური (20პ), 1:1 კოკო (36), 2:1 ბირჰოფი (44), 3:1, 4:1 შევჩენკო (45პ, 77)
მილანი: დიდა, ჰამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ჯუნტი (ბრნჩიჩი 85), ალბერტინი, კოკო (სერჟინიო 76), საუდატი (გულიელმინპიეტრო 62), ბირჰოფი, შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ბეშიქთაში: შორუნმუ, კარჰანი, ტაიფური, ჰალილაჯიჩი (ხლესტოვი 67), აჰმეთი, მიუნხი, ბოზკურტი, ერმანი, იბრაჰიმი (ბაირამი 76), ნუმა, იასინი (მეჰმეთი 61)
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
53 436 მაყურებელი

**კრისტიან აბიატი,** მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო, ჯანი კომანდინი, ხოსე მარი, ფერნანდო რედონდო, ლეონარდო, ზვონიმირ ბობანი, როკე ჟუნიორი — ეს ის ფეხბურთელებია, რომლებიც ტრავმებისა თუ ოლიმპიადაზე გამგზავრების გამო „მილანს" „ბეშიქთაშის" წინააღმდეგ არ ჰყავდა. „მილანმა" მაინც მოიგო. თან, თურქებს შინ ქულის წაღების შანსი არ ჰქონიათ.

„მილანი" გამუდმებით უტევდა, სტუმრებს სახიფათო მომენტი, ფაქტობრივად, არც შეუქმნიათ და ის ერთი გოლიც დანიელი თომას ჰელვეგის სულელურ შეცდომას მოჰყვა. მან საკუთარ საჯარიმოში მაღალი ბურთის მოსაგერიებლად თავს ხელიც შეაშველა და თერთმეტმეტრიანი დაინიშნა.

მასპინძლებმა ანგარიში 18 წუთში გაათანაბრეს. დემეტრიო ალბერტინიმ კუთხური ჩააწოდა, ბურთს კი შორეულ ძელთან მეტად უცნაურ, 77-ნომრიანი ფრანჩესკო კოკო ელოდა.

ამის მერე უფსკრული მეტად გაღრმავდა. ბავშვობაში ადგილის სიმცირისა თუ ბიჭების ნაკლებობის გამო ცალკარას რომ გავაჩაღებდით, დაახლოებით ასეთი თამაში წავიდა. მოედნის შუაგულში ალბერტინი და ჯუნტი გაბატონდნენ და თურქებს თავიანთ ნახევარზე არ აჭაჭანებდნენ, წინ კი ანდრეი შევჩენკო შეუჩერებელი შეიქნა.

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული, „მილანმა" სამი მატჩი გამართა და უკრაინელმა სამივეში წყვილად გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლო წამებზე სეად ჰალილაჯიჩმა საჯარიმოში შეჭრილ შევჩენკოს ბურთი რომ ვერ აართვა, ხელი მოიხმარა და პენალტი მოიმკო, რომლის შესრულება ყოფილმა დინამოელმა (ცხადია, არა თბილისისა) ითავა. მეორე ნახევარში კი ის ბრწყინვალე დრიბლინგით („როიტერი" იუწყება, ცეკვა-ცეკვითო) სამ თურქს გასცდა და მეტოქის საცოდაობას წერტილი დაუსვა. შევჩენკოს გოლებამდე ოლივერ ბირჰოფმაც იმარჯვა, ვინაც ფედერიკო ჯუნტის საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა.

მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენცია იტალიური გამოდგა — ალბერტო ძაკერონი და ნევიო სკალა. ყოფილმა პარმელმა თქვა: „პირველი ნახევარი საათი კარგად ვითამაშეთ, მერე კი სულ ავირიეთ. გაშვებულმა გოლმა თავგზა აგვიბნია. საერთოდ, „ბეშიქთაში" ძალიან კარგი გუნდია და ჩვენი ერთადერთი პრობლემა ცუდი ფსიქოლოგიური მომზადებაა. უპირველესად, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ".

ძაკერონიმ კი მეტოქე არად ჩააგდო და უფრო სამომავლო ამბებზე ისაუბრა: „ჩემპიონთა ლიგა უგრძელესი გზაა. თურქებთან კარგად ვითამაშეთ, თუმცა მთავარი მატჩები წინ გვაქვს. თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებთ, რომ „ლიდსთან" და „ბარსელონასთან" გვიწევს თამაშები. „ბეშიქთაში" მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო".

ჩვენ კი ვიკითხოთ — რას იზამს „მილანი", როცა ამ წერილის თავში ჩამოთვლილი მოთამაშეებიც დაუბრუნდებიან?

**გიორგი დარჯანია**




REUTERS მილანიდან

მილანი — ბეშიქთაში 4:1. ანდრეი შევჩენკოს პირველმა ბრაზილიელმა სერჟინიომ მიულოცა

| H ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 26.09 | 8.11 | 4:0 | 4:0 | 3 |
| 2 | მილანი | 18.10 | | 4:1 | 8.11 | 4:1 | 3 |
| 3 | ბეშიქთაში | 19.09 | 24.10 | | 18.10 | 1:4 | 0 |
| 4 | ლიდსი | 24.10 | 19.09 | 26.09 | | 0:5 | 0 |

ტურის მატჩი

ჩემპიონთა ლიგა. I ტური. E ჯგუფი

# კაცი, რომელიც ამაყად ივლის

**63 გოლი 16 მატჩში — სამშაბათს და ოთხშაბათს გამართულ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში თუ ამდენი ბურთი გავიდოდა, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. ერთი ბურთიც და საშუალოდ მატჩში 4 გოლი გამოვიდოდა, თუმც რეალური 3,93 ბურთიც საკმარისზე ბევრად მაღალი შედეგია. მართლაც დიდებული დასაწყისია.**

**პირველი ტურის 16 მატჩიდან უდავოდ „ჰამბურგი" — „იუვენტუსის" შეხვედრა გამოირჩა, როგორც გოლების მხრივ (ყველაზე მეტი, რვა ბურთი აქ გავიდა), ისე სანახაობითი თვალსაზრისით.**

REUTERS ჰამბურგიდან



ჰამბურგული ზღაპარი: იებოა აქეთ, ტუდორი იქით. ქულა აქეთ, ქულა იქით

## უმხეცესი ჰამბურგი

„ეს იყო არამარტო ძლიერი „ჰამბურგი", ეს იყო არამარტო ბრწყინვალე „ჰამბურგი", ეს იყო უმხეცესი „ჰამბურგი" — ასეთი ხოტბა შეასხა გუშინდელმა გაზეთმა „ბილდმა" გერმანულ კლუბს. „ბილდი" იქვე ფეხბურთის თითოეული ქომაგის სახელით დიდ მადლობას უხდის გუშინწინდელი ზეიმის მონაწილეებს — ტურინის „იუვენტუსს" და „ჰამბურგს".

ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის E ჯგუფში „ჰამბურგმა" ტურინის „იუვენტუსს" უმასპინძლა. თამაში ისეთი გამოდგა, ბევრმა უმალ ლიგის ისტორიაში საუკეთესოდ მონათლა.

თითქოს ჩვეულებრივი მატჩი უნდა ყოფილიყო: „იუვენტუსს" სეზონი ჯერაც არ დაეწყო, შეუთამაშებელი და ფორმაში შეუსვლელი გახლდათ, „ჰამბურგი" კი რა, ბოლო-ბოლო ბუნდესლიგის ერთი ჩვეულებრივი, კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, რომელიც დიდი სანახაობითი თამაშით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ამიტომ „ფოლკპარკშტადიონზე" განსაკუთრებულს არავინ ელოდა, თუმცა მატჩი მართლაც რომ იშვიათი გამოვიდა.

## ლეგენდები ცოცხლები არიან

თამაშამდე ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ისტორიას გადახედეს და 1983 წელი გაიხსენეს. მაშინ, ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის ფინალში, სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. იმ დროს „ჰამბურგი" მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იყო, სადაც ული შტაინი, მანფრედ კალცი, ფელიქს მაგათი, ჰორსტ ჰრუბეში და სხვა ვარსკვლავები თამაშობდნენ. რამდენიმე იუვენტუსელ ფეხბურთელსაც ჩამოვთვლით და როგორი კლუბი იყო „ბებერი ქალბატონი", თავად განსაჯეთ: დინო ძოფი, გაეტანო შირეა, მარკო ტარდელი, კლაუდიო ჯენტილე, ანტონიო კაბრინი, მიშელ პლატინი, პაოლო როსი, რობერტო ბეტეგა იმ დროს სწორედ ტურინული კლუბის ღირსებას იცავდნენ.

ის მატჩი „ჰამბურგმა" მაგათის მიერ მე-7 წუთზე გატანილი გოლის წყალობით 1:0 მოიგო და ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ჰამბურგელ ქომაგებს, „ფოლკპარკშტადიონი" პირთამდე რომ შეავსეს, ის დრო არ დავიწყნიათ, „ლეგენდები ცოცხლები არიან" — ასეთი ტრანსპარანტი გადმოეფინათ ტრიბუნაზე.

იმ მატჩის მონაწილე რობერტო ბეტეგა დღეს „იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტია, ბერნდ ვეემაიერი და ფოლგერ ჰირონიმუსი კი „ჰამბურგში" მუშაობენ — პირველი გუნდის მენეჯერია, მეორე კი სპორტული დირექტორი. ოთხშაბათის მატჩის წინ ბეტეგამ წინა თუ მომავალ მატჩზე ბევრი ისაუბრა, „ჰამბურგის" მაშინ გვეშინოდა, მაგათი რომ ჰყავდათო, თქვა.

## თამაში

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა. ორივე გუნდს შეტევისკენ ეჭირა თვალი, რაც დაცვის მქადაგებელი იტალიელებისგან უფრო გასაკვირი იყო. ისევე როგორც 17 წლის წინ ათენში, ოთხშაბათს ჰამბურგშიც ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა. მე-6 წუთზე დელ პიეროს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გერმანელ მცველებს გადაევლო, მიწაზე დაეცა, იქიდან ასხლეტილი კი ტურინელთა ხორვატმა ლეგიონერმა იგორ ტუდორმა თავით ბუტის კარში ჩასვა — 1:0. ამ მომენტამდე ინძაგიმაც სცადა გატანა, მაგრამ თავითვე მიზანს ააცილა. ამას „ჰამბურგის" შეტევები მოჰყვა, რომლის დროსაც ნათლად გამოჩნდა, რომ „იუვენტუსს" დაცვაში საქმე მთლად კარგად ვერ ჰქონდა, თუმც ამ ამპლუაში არც მასპინძლები გამოიყურებოდნენ უკეთ. და მატჩიც ასე, ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა. ცალკე მცველთა შეცდომებისა და ცალკე თავდამსხმელთა დიდებული თამაშის წყალობით მომენტებიც უხვად იქმნებოდა. არც რეალიზაცია ყოფილა ცუდი — რვა გოლი გავიდა.

წონასწორობა მალე აღდგა, ჯარიმიდან კარდოზოს ჩაწოდებულ ბურთს იებოამ კარგად შეურჩია ადგილი და ვან დერ სარი დაამწუხრა, თავად კი უზომოდ გაიხარა. 9 თებერვლის მერე თავდამსხმელმა კაცმა პირველი გოლი გაიტანა და გაიხარებდა, აბა რა. მერე ისევ „იუვეს" ჯერი დადგა. ზიდანის პასით ინძაგიმ 2:1 გახადა. ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ნახევარში „ჰამბურგის" თავკაცი ფრანკ პაგელსდორფი ვა-ბანკზე წავიდა, მინდორზე მესამე თავდამსხმელი მარსელ კეტელაერი გამოუშვა, რომელსაც 66-ე წუთზე მეოთხე, როი პრეგერიც მიაყოლა. ამ დროისთვის გუნდებს თითო გოლი გაეცვალათ. ინძაგიმ ახლა ფერარას პასით შეაგდო. 3:1-ზე კარლო ანჩელოტიმ, სტუმართა მწვრთნელმა, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალა, იულიანო-დელ პიერო ბირინდელი-კოვაჩევიჩით შეცვალა. თითქოს ამას ელოდაო, „ჰამბურგმა" ტემპს უფრო უმატა და მალე მიზანსაც მიაღწია: კეტელაერის ჩაწოდების შემდეგ იტალიელმა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და ირანელმა მეჰდი მაჰდავიკიამაც 50 ათასამდე ქომაგს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა, რომელიც სულ მალე თავადვე რეალურად აქცია, როცა ჩირო ფერარას სისწრაფეში აჯობა — იუვენტუსელმაც ირანელს დარტყმა აღარ აცალა, უხეშად წააქცია. ცხადია, პენალტი დაინიშნა. დასარტყმელად კი, რა თქმა უნდა, „ჰამბურგის" შტატიანი პენალტისტი მეკარე ჰანს იორგ ბუტი მოემზადა. ბუნდესლიგაში დარტყმული 17 თერთმეტმეტრიანიდან ბუტს მხოლოდ ერთი გაეფუჭებინა, ორი წლის წინ. მაშინ ფრაიბურგელმა გოლცმა აუღო. მოგერიება ვან დერ სარმაც სცადა, დიდი ამბით მარცხენა მხარეს გადახტა, ბურთი კი მარჯვნივ შეგორდა — 3:3. ეს 72-ე წუთზე მოხდა. ათ წუთში კი სტადიონი ლამის დაინგრა: 50 ათასი გულშემატკივარი „იუვენტუსის" კარში გატანილ მეოთხე გოლს ზეიმობდა. ისევ დაცვის შეცდომა, ისევ მაჰდავიკიას კარგი თამაში და კოვაჩის სამიოდე მეტრიდან გატანილი ბურთი. „ჰამბურგმა" წარმოუდგენელი რამ შეძლო — უბადლო დაცვით სახელგანთქმულ „იუვენტუსს" ერთბაშად ოთხი ბურთი გაუტანა, თანაც 3:1 27 წუთში 3:4-ად უქცია.

„იუვეს" ადგილას სხვა გუნდი რომ ყოფილიყო, ალბათ, შოკში ჩავარდებოდა, იქნებ კიდევ ოთხი ბურთი გაეშვა, „იუვე" კი...

არ გატყდა „ბებერი ქალბატონი". 88-ე წუთზე ინძაგიმ ბურთი საჯარიმოში შეაგდო და თავადაც შეჰყვა, ბარბარესმა ხელით მაისურზე დაქაჩა, „პიპოსაც" მეტი რა უნდოდა, იქვე გაიშხლართა. კი, ბატონო, ინძაგიმ გააფორმა, მაგრამ წესების დარღვევაც იყო. პორტუგალიელმა მელო პერეირამაც პენალტი დანიშნა. ინძაგიმ უნაკლოდ დაარტყა, ბუტმა მიმართულება კი გამოიცნო, მაგრამ იმ ბურთის მოგერიება წარმოუდგენელი იყო — 4:4!

## ჰამბურგო, შენ საკაიფო ხარ!

...და მორჩა მატჩი. მატჩი, რომელიც სტადიონზე მისულ ათენური შეხვედრის გმირებს — მაგათს, კალცს, იაკობსს, შტაინს, ტრიბუნაზე ერთად რომ მოკალათებულიყვნენ — არასოდეს დაავიწყდებათ, ისევე როგორც არასოდეს დაავიწყდებათ 17 წლის წინანდელი „ჰამბურგი" — „იუვე".

„ასეთი მატჩი დიდი ხანია, არ მინახავს. ყველაფერი ბრწყინვალე იყო, საოცრად კმაყოფილი ვარ. „ჰამბურგი" ისევ დიდი გუნდია" — შეაქო თავისი ყოფილი კლუბი ფელიქს მაგათმა.

მატჩის შემდეგ ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო, გერმანელიც და იტალიელიც. „ახლა წესით გაბრაზებული უნდა ვიყო, ჩვენ ხომ გამარჯვება ბოლო წუთებზე დავკარგეთ, მაგრამ ძალიან გახარებული ვარ. კარგი გუნდი მყავს, რაც მართალია, მართალია" — შეაქო ჰამბურგელები ვერნერ ჰაკმანმა, კლუბის პრეზიდენტმა.

„სამი გოლი კი გავიტანე, მაგრამ მერჩივნა, ერთიც არ გამეტანა და სამი ქულა აგვეღო" — აღიარა გულისნადები ჰეთ-თრიქის ავტორმა ფილიპო ინძაგიმ, რომელიც მატჩის გმირად აღიარეს.

„ყველაფერი დიდებული იყო, ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. „ჰამბურგმა" ძალიან მაღალი ტემპი შემოგვთავაზა, რასაც ველოდით, მზად ვიყავით და არც ჩვენ ჩამოვრჩით. ტემპის დაგდება არც გვიცდია, თამაშიც ამიტომ გამოვიდა ასეთი წარმტაცი" — ახსნა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ.

ფრანკ პაგელსდორფი კი მეცხრე ცაზე იყო: „წარმოუდგენელი რამ შევძელით, „იუვენტუსს" ორბურთიანი უპირატესობა გავუქვითეთ, მერე კი რაღაც სულელური შეცდომის გამო... მაინც ბედნიერი ვარ, ამიერიდან ამაყად ვივლი, მე ხომ ასეთი გუნდი მყავს."

პაგელსდორფის მსგავსად, გერმანული პრესაც ამაყობს „ჰამბურგით". „ჰამბურგი" ნაღდ ევროპას ფესტივალით დაუბრუნდა, „Danke, „ჰამბურგო", შენ საკაიფო ხარ" — ამ და სხვა ამგვარი სათაურებით აჭრელდნენ გუშინდელი გერმანული გაზეთები.

მართალია, ჩვენც ისეთივე კმაყოფილები და ნასიამოვნები ვერ ვართ, როგორც გერმანელი და იტალიელი ქომაგები (ქართული ფეხბურთის შემყურე, კიდევ დიდხანს ვერ ვიქნებით), მაგრამ „ჰამბურგი" — „იუვენტუსის" გუშინწინდელი მატჩით, ვფიქრობთ, ქართველი გულშემატკივრებიც დატკბებოდნენ. ჩვენც რაღა დაგვრჩენია: Danke Hamburg! Grazie Juventus!

**ვანო ოქროპირიძე**


REUTERS ჰავანიდან

# ამაში იჯდა მარადონა

## დიეგოსაგან კოკაინს ელი? ჰავანა იყო ბნელი და სველი

დიეგო მარადონა ავარიაში მოყვა. მისი მეგობრის გილერმო კოპოლას თქმით, საშიში არაფერია, დიეგო არმანდოს მხოლოდ ფეხი აქვს დაჟეჟილი. ვაჰ, დრონი, დრონი... ადრე, მარადონას ფეხბურთელობისას, მისი ფეხის ტკენა უმნიშვნელოვანეს ამბად იქცეოდა, რადგან იმ ფეხით იგი სასწაულებს სჩადიოდა. ახლა კი საშიში არაფერიაო, ამშვიდებენ ქომაგებს და მართალიცაა — მარადონას ფეხებს საგმირო საქმეები რა ხანია, აღარ ჩაუდენია.

ავარია კი ასე მოხდა. კვლავაც კუბაზე მყოფ დიეგო არმანდოს არგენტინიდან მეგობარი ეწვია, ვინმე კარლოს ფიერო. მეგობრებმა ღამეულ ჰავანაში გასეირნება მოისურვეს. საჭეს მარადონა მიუჯდა. ოთხშაბათს საღამოს (ეს ამბავი ამ დროს მოხდა) ჰავანაში წვიმდა, თან ქუჩები ცუდად იყო განათებული (ქართველს ამით ვერ გააკვირვებ, უცხოელებს კი ეს ფაქტი საგანგებოდ აღუნიშნავთ). გზაზე ტურისტული ავტობუსი მიდიოდა. მძღოლს მგზავრები დაებინავებინა და ალბათ შინ მიიჩქაროდა, როცა ჯიპი შეასკდა. გადმოვიდა და რას ხედავს — მარადონა!

მარადონა და მისი მეგობარი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს და, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, საგანგაშო არაფერია, მარადონას კოჭი და მუხლი უტკენია, მის მეგობარს მხარი. ჯიპს აღარაფერი ეშველება, მძღოლის მხარეს ისეა შელეწილი, ჯართად თუ გამოდგება (ან სამუზეუმო ექსპონატად წარწერით: ამაში იჯდა მარადონა).

შემთხვევის ადგილას უმალ გაჩნდნენ სამართალდამცავები, თუმც ავარიის ზუსტ მიზეზს ჯერ არ ამხელენ. ის, რაც პირველად მოგვივა აზრად — კოკაინი — ექიმთა მტკიცებით გამორიცხულია.

REUTERS ჰავანიდან



## რუმინეთი

მე-5 ტური: ბაკეუ — ჩაჰლაული 1:0; სტიაუა — ბრაშოვი 1:0; არჯეში — პეტროლული 1:0; ოცელული — როკარი 2:1; რაპიდი — გლორია 1:0; ნაციონალი — ფორესტა 5:0; ასტრა — უნივერსიტატეა 2:0; გაც მეტანი — დინამო 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 5 | 4 | 1 | 0 | 15:9 | 13 |
| ბაკეუ | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| უნივერსიტატეა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ბრაშოვი | 5 | 3 | 0 | 2 | 3:2 | 9 |
| ოცელული | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| არჯეში | 5 | 3 | 0 | 2 | 7:9 | 9 |
| როკარი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:11 | 7 |
| რაპიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| პეტროლული | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ფორესტა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ასტრა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ნაციონალი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 4 |
| გაც მეტანი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |
| გლორია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ჩაჰლაული | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

## ლიტვა

29-ე ტური: დაინავა — კაუნასი 1:4; ინკარასი — ეკრანასი 0:2; კარედა — ნევეჟისი 2:3; ატლანტასი — ბანგა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 27 | 21 | 5 | 1 | 83:14 | 68 |
| კაუნასი | 25 | 17 | 7 | 1 | 73:15 | 58 |
| ატლანტასი | 27 | 17 | 2 | 8 | 49:27 | 53 |
| კარედა | 29 | 14 | 8 | 7 | 44:33 | 50 |
| ეკრანასი | 27 | 13 | 6 | 8 | 42:24 | 45 |
| ნევეჟისი | 27 | 9 | 10 | 8 | 24:34 | 37 |
| დაინავა | 28 | 6 | 8 | 14 | 27:47 | 26 |
| პოლონია | 29 | 6 | 6 | 17 | 23:63 | 24 |
| ინკარასი | 29 | 3 | 5 | 21 | 19:80 | 14 |
| ბანგა | 28 | 1 | 5 | 22 | 15:62 | 8 |

## ჰოლანდია

### გადადებული მატჩი

### ბრედა 2:1 როზენდალი

1:0 შროიდერი (19), 1:1 ვან გალენი (19), 2:1 ვან ასი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ნაიმეგენი | 5 | 2 | 3 | 0 | 12:8 | 9 |
| ვალვაიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ვიტესი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:8 | 7 |
| ბრედა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| პსვ | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| ჰერენვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| როდა | 4 | 1 | 3 | 0 | 8:6 | 6 |
| ტილბურგი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| გრააფსხაპი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| გრონინგენი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:13 | 5 |
| უტრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 9:12 | 4 |
| როზენდალი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:13 | 3 |
| ალკმარი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ტვენტე | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| სიტარდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

ფირმის, კავშირის, ფონდის
რეგისტრაცია
იურიდიული და საადვოკატო მომსახურება
მარჯანიშვილის ქუჩა №5; II სართული; ოთახი №228
ტელეფონი: 95 53 20; 62 56 52 (საღამოს)

# სიდნეის ოლიმპიური თამაშების პროგრამა. 15 სექტემბერი — 1 ოქტომბერი

| Sydney 2000 | სექტემბერი | | | | | | | | | | | | | | | | ოქტ. | მედლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 1 | |
| | პარ. | შაბ. | კვ. | ორშ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. | ორშ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. | |
| გახსნა და დახურვა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბადმინტონი | | | | | | | 2 | 1 | 2 | | | | | | | | | 5 |
| კალათბურთი | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 |
| ბეისბოლი | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | 1 |
| პლაჟის ფრენბურთი | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | 2 |
| კრივი | | | | | | | | | | | | | | | | 6 | 6 | 12 |
| თავისუფალი ჭიდაობა | | | | | | | | | | | | | | | | 4 | 4 | 8 |
| ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | | | | | | | | | | | | 4 | 4 | | | | | 8 |
| ველოტრეკი | | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 3 | | | | | | | | | | | 12 |
| ველორბოლა | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | 2 | | 4 |
| წყალბურთი | | | | | | | | | 1 | | | | | | | | 1 | 2 |
| ფრენბურთი | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 |
| ხელბურთი | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 |
| სპორტული ტანვარჯიში | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | 5 | 5 | | | | | | | 14 |
| მხატვრული ტანვარჯიში | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | | | | | | | | | 7 | 7 | | | | | | | | 14 |
| ბაიდარა და კანოე | | | | | | | | | | | | | | | | 6 | 6 | 12 |
| სანიჩბოსნო სლალომი | | | | 2 | | 2 | | | | | | | | | | | | 4 |
| ძიუდო | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | | | | | | | | | | 14 |
| ცხენოსნობა | | | | | 1 | | | 1 | | | | | 1 | 1 | | 1 | 1 | 6 |
| მძლეოსნობა | | | | | | | | 2 | 3 | 5 | 9 | | 5 | 6 | 6 | 9 | 1 | 46 |
| მთიდან დაშვება | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | 2 |
| აფროსნობა | | | | | | | | | | 3 | 1 | | 2 | | 2 | 3 | | 11 |
| ცურვა | | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | | | | | | | | | 32 |
| სინქრონული ცურვა | | | | | | | | | | | | 1 | | | 1 | | | 2 |
| წყალში ხტომა | | | | | | | | | 2 | 1 | | 1 | | 3 | | 1 | | 8 |
| ბატუტი | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | 2 |
| თანამედროვე ხუთჭიდი | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 |
| სოფტბოლი | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | 1 |
| სროლა | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | | | | | | | | | 17 |
| მშვილდოსნობა | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | 4 |
| ტაეკვონდო | | | | | | | | | | | | | 2 | 2 | 2 | 2 | | 8 |
| ჩოგბურთი | | | | | | | | | | | | | 2 | 2 | | | | 4 |
| მაგიდის ჩოგბურთი | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | 4 |
| ტრიატლონი | | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| ძალოსნობა | | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | 15 |
| ფარიკაობა | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | 10 |
| ფეხბურთი | | | | | | | | | | | | | | 1 | | 1 | | 2 |
| ბალახის ჰოკეი | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | 2 |
| სულ | | 13 | 14 | 15 | 15 | 18 | 18 | 18 | 26 | 25 | 18 | 10 | 18 | 15 | 12 | 41 | 24 | 300 |

შენიშვნა: [ ] — წინასწარი შეჯიბრება. [2] — იმ დღეს გასათამაშებელი მედლების რაოდენობა

# ქართველები სიდნეიში: ვინ როდის?

| 16 სექტემბერი, შაბათი | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| თემურ ხურცილავა | 54 კგ | I წრე |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | მრავალჭიდი | წინასწარი |
| **ძიუდო** | | |
| ნესტორ ხერგიანი | 60 კგ | წინასწარი, ფინალი |

| 17 სექტემბერი, კვირა | | |
|---|---|---|
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | პნევმ. პისტ. | წინასწარი, ფინალი |
| ნინო უჩაძე | პნევმ. პისტ. | წინასწარი, ფინალი |
| **ძიუდო** | | |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 66 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| ხათუნა ლორიგი | პირადი | 1/32, 1/16 |
| ხათუნა ფუტკარაძე | პირადი | 1/32, 1/16 |
| ასმათ დიასამიძე | პირადი | 1/32, 1/16 |

| 18 სექტემბერი, ორშაბათი | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| გიორგი რევაზიშვილი | 73 კგ | წინასწარი, ფინალი |

| 19 სექტემბერი, სამშაბათი | | |
|---|---|---|
| **მშვილდოსნობა** | | |
| ხათუნა ლორიგი | პირადი | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |
| ხათუნა ფუტკარაძე | პირადი | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |
| ასმათ დიასამიძე | პირადი | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |

| 20 სექტემბერი, ოთხშაბათი | | |
|---|---|---|
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | მრავალჭიდი | ფინალი |
| **ძიუდო** | | |
| გია გუგავა | 90 კგ | წინასწარი, ფინალი |

| 21 სექტემბერი, ხუთშაბათი | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| თემურ ხურცილავა | 54 კგ | II წრე |
| ვლადიმერ ჭანტურია | 91 კგ | I წრე |
| **ძიუდო** | | |
| ივერი ჯიქურაული | 100 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **ცურვა** | | |
| ზურაბ ბერიძე | 50 მ თავ. სტილით | წინასწარი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| საქართველოს ნაკრები: | | |
| ხათუნა ლორიგი | | |
| ხათუნა ფუტკარაძე | | |
| ასმათ დიასამიძე | გუნდური | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |

| 22 სექტემბერი, პარასკევი | | |
|---|---|---|
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | სპორტ. პისტ. | წინასწარი, ფინალი |
| ნინო უჩაძე | სპორტ. პისტ. | წინასწარი, ფინალი |
| **ბატუტი** | | |
| რუსუდან ხოფერია | პირადი | წინასწარი, ფინალი |
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ნებიერიძე | კოშკი | წინასწარი |
| **ძიუდო** | | |
| ალექსი დავითაშვილი | მძიმე | წინასწარი, ფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| თამარ შანიძე | 100 მ | წინასწარი |
| რუსლან რუსიძე | 100 მ | წინასწარი |
| **ცურვა** | | |
| ზურაბ ბერიძე | 50 მ თავის. სტილით | ფინალი |

| 23 სექტემბერი, შაბათი | | |
|---|---|---|
| **ძალოსნობა** | | |
| გიორგი ასანიძე | 85 კგ | |
| **მძლეოსნობა** | | |
| თამარ შანიძე | 100 მ | 1/2, ფინალი |
| რუსლან რუსიძე | 100 მ | 1/2, ფინალი |

| 24 სექტემბერი, კვირა | | |
|---|---|---|
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ცალკ. იარაღები | ფინალი |
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ნებიერიძე | კოშკი | 1/2, ფინალი |
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| ალექსანდრე ცერცვაძე | 54 კგ | წინასწარი |
| აკაკი ჩაჩუა | 63 კგ | წინასწარი |
| ტარიელ მელელაშვილი | 76 კგ | წინასწარი |
| გენადი ჩხაიძე | 97 კგ | წინასწარი |

| 25 სექტემბერი, ორშაბათი | | |
|---|---|---|
| **ძალოსნობა** | | |
| მუხრან გოგია | 105 კგ | |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ცალკ. იარაღები | ფინალი |
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| ალექსანდრე ცერცვაძე | 54 კგ | 1/4, 1/2 |
| აკაკი ჩაჩუა | 63 კგ | 1/4, 1/2 |
| ტარიელ მელელაშვილი | 76 კგ | 1/4, 1/2 |
| გენადი ჩხაიძე | 97 კგ | 1/4, 1/2 |
| კობა გულიაშვილი | 58 კგ | წინასწარი |
| მუხრან ვახტანგაძე | 85 კგ | წინასწარი |
| მირიან გიორგაძე | 130 კგ | წინასწარი |

| 26 სექტემბერი, სამშაბათი | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| თემურ ხურცილავა | 54 კგ | 1/4 |
| ვლადიმერ ჭანტურია | 91 კგ | 1/4 |
| **ძალოსნობა** | | |
| ვალერი სარავა | მძიმე | |
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| ალექსანდრე ცერცვაძე | 54 კგ | ფინალი |
| აკაკი ჩაჩუა | 63 კგ | ფინალი |
| ტარიელ მელელაშვილი | 76 კგ | ფინალი |
| გენადი ჩხაიძე | 97 კგ | ფინალი |
| კობა გულიაშვილი | 58 კგ | წინასწარი |
| მუხრან ვახტანგაძე | 85 კგ | წინასწარი |
| მირიან გიორგაძე | 130 კგ | წინასწარი |

| 27 სექტემბერი, ოთხშაბათი | | |
|---|---|---|
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ნებიერიძე | ტრამპლინი | წინასწარი, 1/2 |
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| კობა გულიაშვილი | 58 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |
| მუხრან ვახტანგაძე | 85 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |
| მირიან გიორგაძე | 130 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |

| 28 სექტემბერი, ხუთშაბათი | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| თემურ ხურცილავა | 54 კგ | 1/2 |
| ვლადიმერ ჭანტურია | 91 კგ | 1/2 |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ინგა თავდიშვილი | მრავალჭიდი | წინასწარი |
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ოთარ თუშიშვილი | 63 კგ | წინასწარი |
| გურამ მჭედლიძე | 76 კგ | წინასწარი |
| ელდარ კურტანიძე | 97 კგ | წინასწარი |
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ნებიერიძე | ტრამპლინი | ფინალი |

| 29 სექტემბერი, პარასკევი | | |
|---|---|---|
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ინგა თავდიშვილი | მრავალჭიდი | წინასწარი |
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ოთარ თუშიშვილი | 63 კგ | 1/4, 1/2 |
| გურამ მჭედლიძე | 76 კგ | 1/4, 1/2 |
| ელდარ კურტანიძე | 97 კგ | 1/4, 1/2 |
| დავით პოლოსიანი | 58 კგ | წინასწარი |
| ემზარ ბედინეიშვილი | 69 კგ | წინასწარი |
| ალექსი მოდებაძე | 130 კგ | წინასწარი |

| 30 სექტემბერი, შაბათი | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| თემურ ხურცილავა | 54 კგ | ფინალი |
| ვლადიმერ ჭანტურია | 91 კგ | ფინალი |
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ოთარ თუშიშვილი | 63 კგ | ფინალი |
| გურამ მჭედლიძე | 76 კგ | ფინალი |
| ელდარ კურტანიძე | 97 კგ | ფინალი |
| დავით პოლოსიანი | 58 კგ | წინასწარი |
| ემზარ ბედინეიშვილი | 69 კგ | წინასწარი |
| ალექსი მოდებაძე | 130 კგ | წინასწარი |

| 1 ოქტომბერი, კვირა | | |
|---|---|---|
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ინგა თავდიშვილი | მრავალჭიდი | ფინალი |
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| დავით პოლოსიანი | 58 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |
| ემზარ ბედინეიშვილი | 69 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |
| ალექსი მოდებაძე | 130 კგ | 1/4, 1/2, ფინალი |

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# დარჩება დარჩია უმედლოდ?

*საქართველოს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრები სიდნეის ოლიმპიადაზე შვიდი სპორტსმენით გამოვა. ესენი არიან: ალექსანდრე ცერცვაძე (54), კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), ტარიელ მელელაშვილი (76), მუხრან ვახტანგაძე (85), გენადი ჩხაიძე (97), მირიან გიორგაძე (მძიმე). ულიცენზიოდ მხოლოდ 69 წონით კატეგორიაში დავრჩით.*

*ეს შვიდეული გუშინწინ გაფრინდა. ისინი ავსტრალიაში წასვლის წინადღეს დაბრუნდნენ ბაკურიანიდან, სადაც დასკვნითი შეკრება გაიარეს. ჩვენც ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას და რამდენიმე მოჭიდავეს გავესაუბრეთ.*



ბეგი დარჩია

*ბეგი დარჩია:* გუნდი საკმაოდ კარგად მოემზადა, ჩვენთვის ხელი არაფერს შეუშლია. მცირე ტრავმები კი იყო, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარდა. ვფიქრობ, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ თითოეულმა სპორტსმენმა თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს.

**— გუნდისთვის შეკრებები არ ეწყობოდა, ვერ მიდიოდით შეჯიბრებებზე და მოსამზადებელი პერიოდი ჩაშლილი იყო. ამიტომ თქვენი პასუხი მოულოდნელი და უცნაური ჩანს.**

— თავიდან მართლაც ასე იყო. მოგვიანებით ხელისუფლებამ დეპარტამენტი დააფინანსა და აქედან მოყოლებული, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მაქსიმუმი გაკეთდა. გუნდისთვის მოეწყო ძალიან სასარგებლო შეკრებები მინსკში, მოსკოვსა და ბაკურიანში, მოსკოვში საერთაშორისო ტურნირშიც ვიჭიდავეთ. თუმცა ერთი რამეც სათქმელია — ფული დროზე რომ მიგველო, გაცილებით უკეთ მოვემზადებოდით. იმასაც გეტყვით, რომ იმ სამი ვარიანტიდან, რომლებიც გუნდის მოსამზადებლად შევიმუშავეთ, არასაკმარისი დაფინანსების გამო ყველაზე ცუდის ამორჩევა მოგვიხდა. თუმცა მწვრთნელთა საბჭოს მიაჩნია, რომ გუნდმა მზადების გეგმა 80 პროცენტით შეასრულა.

**— თქვენი გუნდისთვის ფიზიკური მომზადება ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო.**

— ვფიქრობ, მდგომარეობა ამ მხრივაც გამოსწორდა. ბაკურიანში ფიზმომზადებას მთლიანი შეკრება დავუთმეთ.

**— ტრავმები ახსენეთ...**

— რამდენიმე სპორტსმენს მსუბუქი ტრავმა კი ჰქონდა, მაგრამ ახლა ყველა ჯანმრთელადაა. სერიოზული მაშინაც არაფერი იყო. მათ საკონტროლო შეხვედრები კარგად ჩაატარეს. თანაც, შეჯიბრის დაწყებამდე სამკურნალოდ და ხაადაპტაციოდ კიდევ რამდენიმე დღე გვაქვს.

**— კონკრეტულად რას გეგმავთ?**

— პროგნოზებს არასდროს ვაკეთებ. გუნდში ბევრი კარგი მოჭიდავეა. თუ წილისყრაში გაგვიმართლა და მსაჯებმაც ინამუსეს, უმედლოდ არ დავბრუნდებით. თუმცა ოლიმპიადა მაინც ოლიმპიადაა.

*ალექსანდრე ცერცვაძე:* აქამდე მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მიჭიდავია და, აბა, წინასწარ რა გითხრათ. ახლა გამოცდილებაც მეტი დამიგროვდა, ადრინდელთან შედარებით გაცილებით კარგადაც ვარ მომზადებული, მაგრამ ყველაფერი მაინც ტურნირზე გამოჩნდება. იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. რაც მთავარია, წონის დაკლების პრობლემა არ მაწუხებს. მოსამზადებელ პერიოდში მეტი ხელშეწყობა და უკეთესი პირობები არ გვაწყენდა, თუმცა არავის ვსაყვედურობ. დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი გაკეთდა ჩვენთვის. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ მინსკში მოწყობილი შეკრებით, სადაც ძლიერი გუნდები შეიკრიბნენ. სუსტი კონკურენტები არც ოლიმპიადაზე მეყოლება: კუბელი ლაზარო, სამხრეთკორეელი ტაიუნი, გერმანელი ტერ-მკრტიჩიანი... ტურნირებზე მხოლოდ გერმანელს შეხვედრივარ, რომელთანაც წლევანდელ ევროპის პირველობაზე მესამე ადგილისთვის გამართული ბრძოლა წავაგე. მაგრამ დაუმარცხებელი არც იგია.

*გენადი ჩხაიძე:* ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვეწყობით შეჯიბრებისთვის, როგორ გადავიტანთ აკლიმატიზაციას და ასე შემდეგ. ისე კი, კარგად ვართ მომზადებულნი მეც და სხვებიც. ეს ჩემთვის პირველი ოლიმპიადაა, მაგრამ მაინც სამეულს ვუმიზნებ, თუმცა რუსეთის სახელით მოასპარეზე გოგი კოღუაშვილი, შვედი მსოფლიოს ჩემპიონი მარტინ ლინდბერგი, პოლონელი ბრონსკი, თურქი ჰაქიბასარი და, ალბათ, სხვებიც არაფერს დათმობენ. არც მე ვაპირებ სიდნეიდან უმედლოდ დაბრუნებას.

**ირაკლი თავაძე**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.**

**თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.**

**ტელეფონი: (612) 8 11 35 445**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ბებრის ყვავილობა

**ქალები**

B ჯგუფი

**ჩინეთი 3:1 ნიგერია**

1:0 ჟაო (12), 2:0, 3:0 სუნი (57, 83), 3:1 ნკვოჩა (85)

**აშშ 2:0 ნორვეგია**

1:0 მილბრეტი (18), 2:0 ჰემი (24)

**ვაჟები**

B ჯგუფი

**კორეა 0:3 ესპანეთი**

0:1 ველამასანი (10), 0:2 ხოსე მარი (26), 0:3 ხავი (37)

**მაროკო 1:4 ჩილე**

0:1, 0:2, 0:3 სამორანო (37, 45, 55), 0:4 ნავია (72პ), 1:4 უჩლა (80)

D ჯგუფი

**ბრაზილია 3:1 სლოვაკეთი**

0:1 პორაჟიკი (26), 1:1 ედუ (30), 2:1 ჩიშოვსკი (68ს.კ.), 3:1 ალექსი (90)

**სამხ. აფრიკა 1:2 იაპონია**

1:0 ნომვეთე (31), 1:1, 2:1 ტაკაჰარა (45,79)

1998 წელს, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკა, თუ გახსოვთ, ჯგუფიდან ვერ გავიდა. იმ ჯგუფში მის გარდა მომავალი ჩემპიონი და შეჯიბრების მასპინძელი, აგრეთვე დანია და საუდის არაბეთი გახლდნენ თავმოყრილნი. ბუნებრივია, შემდეგ ეტაპზე ფრანგები და დანიელები მოხვდნენ.

ასე შორიდან იმიტომ მოვუარეთ, რომ სამხრეთ აფრიკელთა მაშინდელ მწვრთნელთან, ფრანგ ფილიპ ტრუსიესთან მივიდეთ. მაშინ ტრუსიე სასტიკად გააკრიტიკეს, შემდგომ ეტაპზე რატომ ვერ გახვედიო. მწვრთნელი განაწყენდა, კრიტიკა უსამართლოდ მიიჩნია და სამუშაო ადგილი, უფრო ზუსტად კი კონტინენტი გამოიცვალა, აფრიკიდან აზიაში, კერძოდ იაპონიაში გადაბარგდა, სადაც ოლიმპიურ გუნდს ჩაუდგა სათავეში. და აი, ბედმა ტრუსიეს რევანშის შანსი მისცა — გუშინ, კანბერის „ბრუს სტედიუმზე“ სიდნეის ოლიმპიადის ფეხბურთელთა ტურნირის D ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ სამხრეთ აფრიკა და იაპონია წარსდგნენ.

ტრუსიემ შანსი ხელიდან არ გაუშვა, იაპონელებმა 2:1 გაიმარჯვეს, თუმცა თავიდან მეტოქე იყო წინ.

აფრიკელთა გოლი „აიაქსის“ ყოფილი, დღეს კი „სელტას“ მოთამაშის, ბენი მაკარტის დამსახურება გახლდათ. მან კუთხურის ხაზთან გადავარდნილი



ივან სამორანომ მაროკოელები დაიბრიყვა

ბურთის რალაცნაირად დამორჩილება შეძლო, შემდეგ მეტოქის მცველი კოჯი ნაკატა მოატყუა და სიაბონგა ნომვეთეს ჩააწოდა. ნომვეთეც ღირსეულად გამოეხმაურა თანაგუნდელის მინი-ჯადოქრობას — ჭკვიანური თავურით ბურთი სეიგო ნარაზაკის კარში შეაგდო.

მაკარტიმ ამ ეპიზოდის გარდაც ჩინებულად ითამაშა. კარგად ითამაშა მისმა თანაგუნდელმა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ქუინტონ ფორჩუნმაც, თუმცა აფრიკელები სუსტმა დაცვამ დაამუხრუჭა: პირველი ტაიმის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში, მათ კართან დანიშნულმა ჯარიმამ, ნაოჰირო ტაკაჰარას ანგარიში გაათანაბრებინა. ჯარიმის დროს სამხრეთ აფრიკის ნაკრების მცველებმა იაპონელი უყურადღებოდ დატოვეს და მანაც თავურით მიაღწია საწადელს.

ტრიბუნიდან იაპონიის ეროვნულ გუნდს 6 ათასი გულშემატკივარი ამხნევებდა. ფეხბურთელები მათ ცხრა პირი ოფლის ღვრით პასუხობდნენ, რამაც შედეგი გამოიღო — ცნობილმა ვარსკვლავმა, ჰიდეტოში ნაკატამ ჩინებული პასი გადააწოდა იმავე ტაკაჰარას, ბოლო ის ბურთს გამოედევნა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

ამრიგად, იაპონელმა ოლიმპიელებმა უკვე ზედიზედ მეთვრამეტე შეხვედრაში გაიმარჯვეს, ხოლო მათ მიერ გატანილ-გაშვებულთა ბალანსი 86:6 გახლავთ.

იმავ ჯგუფში ითამაშეს ბრაზილიისა და სლოვაკეთის ნაკრებებმაც. ბრაზილიელები, ცხადია, ოქროს მედლების კანდიდატებად არიან მიჩნეული და მათგან სლოვაკთა ძლევა არავის გაკვირვებია, თუმცა შეხვედრის კარგა დიდი მონაკვეთების განმავლობაში მთლად თავდაჯერებულნი არ ჩანდნენ.

ასე იყო თავიდანვე, როდესაც ანდრეი პორაჟიკმა ანგარიში გახსნა — სლოვაკმა მცველთა შეცდომით ისარგებლა, მაგრამ სამხრეთ ამერიკელები არ გატყდნენ და მალევე გაათანაბრეს: მოედნის შუიდან რონალდინიომ პასი მარცხენა ფრთაზე ალექსს გადააწოდა, ალექსმა ბურთი ედუს გადაუგდო, რომელმაც იგი მკერდით დაიმორჩილა და ბადეში უკრა.

ბრაზილია 68-ე წუთზე დაწინაურდა — ფაბიო აურელიომ ჩააწოდა, სლოვაკმა მარიან ჩიშოვსკიმ კი საკუთარი კარი დალაშქრა. და ბოლოს, ალექსმა, რომელიც გუშინ 23-ე დაბადების დღეს ზეიმობდა, თავად შეაგდო გოლი.

ხოლო B ჯგუფში, ოლიმპიადისთვის უხერხული ასაკის ჩილელმა ვარსკვლავმა, მილანის „ინტერის“ ფორვარდმა ივან სამორანომ ჰეთ-ტრიკი შეასრულა. ეს „ბებრული“ გოლები, ისევე როგორც ნავიას მეოთხე, მაროკოელთა კარში შეცვივდა — შეხვედრის საბოლოო ანგარიშად ელ უჩლას ერთი საპასუხო გოლის შემდეგ 4:1 დადგინდა.

აღსანიშნავია, რომ მაროკომ ფაქტობრივად მთელი მატჩი 10 კაცით ჩაატარა, რადგან მე-6 წუთზე მცველი ადელ ჩბუკი გაუძევეს მოედნიდან.

რაც შეეხება კორეელთა და ესპანელთა დაპირისპირებას, მასზე ზოგადად იმის თქმა შეიძლება, რომ ესპანელებმა ბრწყინვალე თამაშით 1992 წლის, ბარსელონის ოლიმპიადის დროინდელი ჩემპიონი ნაკრები გაახსენეს საზოგადოებრიობას. ადელაიდის „ჰინდმარშზე“ მათი შეჩერება კორეელთათვის მეტისმეტი ამოცანა გამოდგა. ეს იმთავითვე გამოჩნდა, როდესაც ევროპელთა კაპიტანმა, ტონი ველამასანმა ანგარიში გახსნა, რასაც „მილანის“ ხოსე მარიმ და „ბარსელონას“ ხავიმ დაამატეს თავიანთი წილი ზუსტი დარტყმები.

**მიხეილ სურგულაძე**



იაპონელებმა გამარჯვების გოლი ჰიდეტოში ნაკატას (№7) პასის შემდეგ გაიტანეს

## სიდნეის ნაირ-ნაირი



იტალიელთა კაპიტანმა ალესანდრო გრანდონიმ შორტი მელბურნელ მაყურებელს სტყორცნა

**მელბურნის** „კრიკეტ გრაუნდზე“ იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ავსტრალიას 1:0 მოუგო და თამაშის შემდეგ იტალიურად იზეიმა. კერძოდ, მოთამაშეებმა მაისურები შემოიძარცვეს და მაყურებელს სტყორცნეს, ხოლო ზოგ-ზოგმა შორტიც ჩაიხადა. ოლიმპიადა, მოგეხსენებათ, სხვა სულისკვეთების მოვლენაა — მონაწილეობა, ძმობა, ვითომგულუბრყვილობა და ა.შ. — ამიტომაც იქ მყოფ ოფიციალურ პირთ ეს ჩახდის ამბავი არ მოეწონათ და იფიქრეს: ვაიმე, ესენი პირველი თამაშის შემდეგ ნიფხავს თუ იხდიან, ფინალში რაღას იზამენო. სამაგიეროდ, იტალიელ ჭაბუკთა საქციელს ავსტრალიელი გოგოები გადაურევია. ისინი, ამიერიდან, „სკუადრა აძურას“ ყველა მატჩში გამარჯვებას უსურვებენ.

ვიქტორიას შტატის სპორტის მინისტრი და ყოფილი იქაური წესებით მობურთალი, ჯასტინ მადენი მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის პირველ დღეს დაესწრო და სიხარულით მეცხრე ცას ეწია — დედა რა ვნახე, ეს საღამო ისტორიაში შევა როგორც ჩვენი შტატის სპორტული ცხოვრების უდიდესი მოვლენაო. არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ იქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

რას გაუგებ ამ მინისტრებს.

Sydney 2000

**შოკი** არსებობს სხვადასხვა: ელექტრო, ემოციური, ეკონომიკური... და როგორც ირკვევა ოლიმპიური. ოლიმპიურ შოკში ინგლისელები ჩაცვივდნენ. ისინი ინგლისში ტელევიზორთან ისხდნენ და ავსტრალიაში გახურებულ საფეხბურთო მატჩს უყურებდნენ: ნიგერია — ჰონდურასი. კაცმა რომ თქვას პასი პასს ჰგავდა, დარტყმა დარტყმას, ჯარიმა ჯარიმას, მაგრამ ჰონდურასელი თავდამსხმელი ჟაირო მარტინესი ნამდვილად არ ჰგავდა იმ კაცს, ვინც პრემიერლიგაში თამაშს შეძლებს. საქმე ის გახლავთ, რომ მარტინესი, რომელიც ამასწინათ „ქოვენთრი სიტიმ“ იყიდა, ადელაიდის „ჰინდმარშ სტედიუმზე“, 17 გრადუს სითბოში ხელთათმანებით დარბოდა.

ერიჰაა, ქართულად აღმოხდათ ტელევიზორთან მიმსხდართ და დედაინგლისის კლიმატი გაახსენდათ.

Sydney 2000

**ავსტრალიის** დედაქალაქის ტერიტორიის მთავრობამ მთელი მსოფლიოდან ჩასული ჟურნალისტებისთვის უფასო ჭამა-სმა მოაწყო. ღონისძიება კანბერას „ალბერტ ჰოლში“ დაინიშნა და ნუგბარ-ნუგბარიც თეფშებზე ჩამოლაგდა, მაგრამ... ჟურნალისტები არ მივიდნენ. უფრო სწორად ცოტანი მივიდნენ, ალბათ, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპელები და ყოფილი სსრკ-ელები. მიზეზი: ჭამა-სმა დაემთხვა იაპონიის ნაკრების სახალხო სვლას „ბრუს სტადიონის“ გარშემო და მედიის ძირითადი ნაწილი ამ ამბავს დახარბდა. ჟურნალისტები კი არა, „ალბერტ ჰოლში“ დაპატიჟებული სენატის პრეზიდენტი მარგარეტ რეიდი, მავანი ბიუროკრატები, სპორტული ჩინოსნები და სხვა პატივცემული გვამებიც კი არ მივიდნენ.

Sydney 2000

**ოლიმპიური** თამაშები, მხოლოდ სარბენ ბილიკებსა თუ საცურაო აუზებში ასპარეზობა რომ არაა, ამაში თავად სპორტსმენებმა დაგვარწმუნეს.

ეტყობა, ათლეტებს ჭამაშიც ჰყვარებიათ გაჯიბრება. სიდნეის ოლიმპიური სოფლის რესტორნებში მომუშავე მოხალისეთა გამოკითხვით დადგინდა, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენლები იკვებებიან ყველაზე აკურატულად და ასუფთავებენ თავიანთ მაგიდებს.

საქმე ისაა, რომ ქაღალდის, თუნუქისა და პლასტმასისგან დამზადებული ჭურჭელი უნდა ჩაიყაროს სპეციალურ კონტეინერში, რომელიც ამგვარი საგნებისთვისაა განკუთვნილი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირველი არაოფიციალური ოლიმპიური ჯილდო კანადელებმა დაიმსახურეს. მეორენი იყვნენ კუბელები, ხოლო მესამე ადგილები ესპანელებმა და იუგოსლავიელებმა გაიყვეს.

თუ რომელ ადგილზე გავიდნენ საქართველოს ოლიმპიელები, ამაზე სამწუხაროდ არაფერს იუწყებიან.

კრივი

# ფინალი მეორემე წრეში

## ჭანტურიას სავონი ან ბენეტი ასცდა

**იგი** შეუფერებელ დროსა და ადგილას დაიბადა. ლათინური ამერიკის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში რომ გაჩენილიყო, დღეს უეჭველად პროფესიული კრივის საჩინო ფიგურა იქნებოდა, მაგრამ მამაზეციერმა ასე ინება — ფელიქს სავონი კუბელია და თანაც მაშინ, როცა კომუნისტური თავისუფლების კუნძულზე ფიდელ კასტრო განაგებს ყველაფერს, თავად კომუნიზმის ციტადელში (რუსეთი) გვარიანად შეფერთხილი იდეალების უსაზღვროდ ერთგული პიროვნება და აქედან გამომდინარე, სპორტში ყოველგვარი კომერციისა და პროფესიონალიზმის მოძულე. ამიტომ სავონს არა აქვს მილიონები. კომანდანტესგან ბინით, აგარაკითა და მანქანით უზრუნველყოფილი კი ალბათ იქნება და მისი უმაღლესი საკრივო ვნება არა მაიკლ ტაისონისებრთან ჩხუბი, არამედ ოლიმპიური თამაშებია — შეჯიბრი, რომელიც უზენაესი (პროფესიული) კრივის თვალსაზრისით ბევრს არაფერს ნიშნავს.

სავონმა სეულის ოლიმპიადა კუბელთა ერთიანი ბოიკოტის გამო გამოტოვა, ბარსელონასა და ატლანტაში დიდ-პატარას ცხვირპირი დაამტვრია და ახლა, 33 წლისა, სიდნეის ოლიმპიადაზე ერთი ქებული თვისტომის რეკორდის გამეორებას გეგმავს. თეოფილო სტივენსონია ის ერთადერთი, რომელიც ერთსა და იმავე წონაში ზედიზედ სამჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო სავონის მეტსახელი რომ „თეოფილიტო“, იგივე „პატარა თეოფილოა“, ესეც ალბათ რაღაცას ნიშნავს.

სავონი ქვემძიმე წონაში იჩხუბებს (91 კილოგრამამდე), სადაც რიგიანი მეტოქეები ელის. უპირველესად — მსოფლიოს ჩემპიონი მაიკლ ბენეტი. ჩემპიონი რატომ სავონი არაა, იკითხავთ... შარშანდელი მსოფლიო პირველობის ფინალში სწორედ კუბელი და ამერიკელი გავიდნენ და მაშინ იყო, კუნძულელებმა ჩემპიონატის მსაჯობით უკმაყოფილება რომ გამოთქვეს და აიბარგნენ. შეიარაღებული ძარცვისთვის ნასამართლევი ბენეტი ჩემპიონი ავტომატურად გახდა. ბენეტი სიდნეიშიც იჩხუბებს და ერთი არასასურველი ამბავი ის მოხდა, რომ კენჭისყრამ ნახსენები მოკრივეები უკვე მეორე ეტაპზე დაუპირისპირა ერთმანეთს. თავიდან სავონი ნიგერიელ რასმუს ოჯემაიეს ხვდება და ეჭვი არაა, გალახავს. წესით, ბენეტმაც უნდა ცემოს პოლონელი ვოიცეხ ბარტნიკი, რასაც ნაადრევი „ფინალი“ მოჰყვება და ეს გარემოება დიდად აძლევს ხელს ქართველ ვლადიმერ ჭანტურიას (და არამარტო მას), რადგან ორიდან ერთ-ერთი მხეცი აუცილებლად გზიდან ჩამოეცლება.

უზბეკი რუსლან ჩაგაევიც, აქამდე სავონის, მგონი, ერთადერთი მომრევი, იჩხუბებს სიდნეიში. მისი და კუბელის ბრძოლა უკიდურესად დამაინტრიგებელი უნდა იყოს. სამი წლის წინ უზბეკმა სავონს მსოფლიო პირველობის ფინალი კი მოუგო (და მერე ტიტული წაართვეს, პროფესიონალებში ორჯერ რად იჩხუბაო), მაგრამ გასულ წელს კუბელმა დამაჯერებელი რევანში აიღო, ამიტომ უზბეკის ის გამარჯვება უფრო შემთხვევითსა ჰგავს.

მსუბუქ წონაში იკრივებს ვიქტორ რამოსი. იგი აღმოსავლეთტიმორელია, ოლიმპიური დროშით გამოდის და იმიტომ გამოვარჩიეთ.

**დავით გულუა**



REUTERS სიდნეიდან

სიდნეიში ოლიმპიური რინგი გამართეს და გაალამაზეს. სავონი და ბენეტი სწორედ აქ დაუშენენ ერთმანეთს მუშტებს

კალათბურთი



REUTERS სიდნეიდან

ამერიკის ვაჟთა და ქალთა ნაკრებების ვარსკვლავები ჯეისონ კიდი და ნიკი მაკრეი

# პირველი მართლა ოცნება იყო!

## ამერიკის ახლანდელი ნაკრები წინამორბედებს ვერ შეედრება, მაგრამ კონკურენტი არც მას ეყოლება

**დღეს**, 15 სექტემბერს, სიდნეიში საუკუნის ბოლო ოლიმპიური თამაშები დაიწყება. ავსტრალიის უდიდესი ქალაქი ნახევარი თვით მსოფლიოს სპორტული ცხოვრების დედაქალაქად იქცევა. ოლიმპიური ოქრო-ვერცხლისთვის ერთმანეთს ასეულობით სპორტსმენი შეერკინება. ხვალვე დაიწყება ოლიმპიურ თამაშებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი — საკალათბურთო.

ალბათ ზედმეტია იმის კითხვა, ვინ გახდება ოლიმპიური ჩემპიონი. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ოლიმპიურ თამაშებზე მაყურებელთა წინაშე პროფესიონალი კალათბურთელებით წარსდგა, ეს უმთავრესი კითხვა ავტომატურად მოიხსნა. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გამოწრთობილ სუპერვარსკვლავებს არასდროს დაუეჭვებიათ გულშემატკივრები. ისინი იყვნენ ჩემპიონობის ერთადერთი ფავორიტები როგორც 1992 წლის ბარსელონის, ასევე 1996 წლის ატლანტას ოლიმპიადაზე. ასეა დღესაც სიდნეიში და ამერიკელი გულშემატკივარიც „დრიმ თიმისგან“ გამარჯვებას ელის, უფრო ზუსტად მიაჩნია, რომ პირველობა მის ჯილას ხელთ უპყრია.

ამგვარად ტურნირის სხვა მონაწილეებს მოუწევთ, ხელი ჩაიქნიონ ოქროზე და უფრო დაბალი სინჯის მედლებზე იფიქრონ. ამერიკელთა ნაკრები ნებისმიერი მათგანისთვის ალბათ გადაულახავი ბარიერი იქნება. ცხადია, ამერიკელებიც ერთი წუთითაც არ უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ მათ ვინმე შეეცილება ოქროს მედლებს. ის კი არა, ყველა დროის საუკეთესო გუნდის პრეტენზიაც კი აქვთ. აქ კი შეგვიძლია „დრის თიმის“ წევრებს შევედავოთ. მათ იქნებ სადღეისოდ ოლიმპიადაზე უძლიერესი გუნდი ჰყავდეთ, მაგრამ ერთობ შორს არიან თუნდაც 1992 წლის ნალდი „დრიმ თიმისგან“.

დღევანდელი ნაკრები, თავისი ორი წინამორბედისგან განსხვავებით, ყველაზე ახალგაზრდულია. ოლიმპიადაზე თამაშის გამოცდილება თორმეტი კაციდან მხოლოდ გერი პეიტონს აქვს. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 26,7 წელია მაშინ, როდესაც ბარსელონაში გამარჯვებულთა საშუალო წლოვანება 29,1 იყო, ატლანტელთა — 29,4.

დღევანდელი ნაკრები ასევე მაღალ, ფარზე დაგეშილ კალათბურთელთა ნაკლებობას განიცდის. გუნდში ერთადერთი ცენტრია, 208-სანტიმეტრიანი ალონზო მურნინგი. კიდევ ორ მაღალ, 211-სანტიმეტრიან კალათბურთელს, კევინ გარნეტს და ვინ ბეიკერს, ცხადია, ბევრი ვერავინ დაუდგება გვერდით დანარჩენი მსოფლიოდან, მაგრამ ისინი თავიანთი გაქანებით აშკარად ჩამორჩებიან ძველ ამერიკელ მეფარეებს. და კიდევ ერთი, ამერიკელებს დღესდღეობით უძლეველ მონსტრებად აღარ აღიქვამენ, როგორც ეს რვა წლის წინ ბარსელონაში ხდებოდა. მაშინ ჯორდანი, ბერდი, ჯონსონი და სხვები თამაშების საშუალოდ 43,8-ქულიანი უპირატესობით იგებდნენ. სავარაუდოდ, გარნეტი, მურნინგი, პეიტონი, კიდი და მათი თანაგუნდელები ყველა თამაშს მოიგებენ, მაგრამ არა ამხელა სხვაობით. „ვფიქრობ, ისინი უნიჭიერესი კალათბურთელები არიან, აქ ორი აზრი არ არსებობს... მაგრამ მათ აკლიათ ის მისტიკური საფარველი, რომელიც 1992 წლის ნაკრებს ჰქონდა. მახსოვს, მათ როგორ ვუყურებდით, რა გვემართებოდა, როცა ამ ცოცხალ ლეგენდათა პირისპირ ვრჩებოდით... ჩვენ ვერ ვთამაშობდით, უბრალოდ დავრბოდით მოედანზე. დღეს ისინი საკმაოდ განსწავლულები არიან, თანამედროვე კალათბურთს თამაშობენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ თამაში შეუდარებლად იოლია. თუ მეტოქემ მათი შიშის გრძნობა გადალახა, შეუძლია, თითქმის თანაბრად ეთამაშოს“. ავსტრალიელთა 35 წლის კაპიტანი ენდრიუ გეიზი ბოლო ხუთი ოლიმპიადის მონაწილეა და მასზე უკეთ ძველ და ახალ „ოცნების გუნდებს“ ალბათ ვერავინ შეადარებს.

„ჩვენი და ძველი გუნდების შედარება ცოტა ძნელია. შეიცვალა კალათბურთი და ზოგადად ჩვენ უფრო გამართულად ვთამაშობთ, ვიდრე ჩვენები 92-ში, მაგრამ არც მეტოქეა ძველებური. კარგი გუნდები უფრო მებრძოლნი და ძნელად დასამარცხებელნი გახდნენ. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ წაგებას ვაპირებთ. პირობას გაძლევთ, ყველა მატჩს მოვიგებთ. უბრალოდ, მეტოქეს საშუალებას არ მივცემთ, დაგვამარცხოს“ — ამბობს ამერიკელთა სამი კაპიტნიდან ერთ-ერთი, ბოლო ორი სეზონის დაცვის საუკეთესო მოთამაშე, ალონზო მურნინგი.

თეორიულად ამერიკელთა უმთავრეს მეტოქედ ალბათ მაინც მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავია უნდა მივიჩნიოთ. მათ ჰყავთ რამდენიმე მძლავრი მოთამაშე, რომელნიც ევროპაში ამინდს ქმნიან — დეიან ბოდიროგა, პრედრაგ დანილოვიჩი და ჟელკო რებრაჩა და „საკრამენტო კინგზის“ ვარსკვლავი პრედრაგ სტოიაკოვიჩი, ვინც საკმაოდ ადვილად გაუშინაურდა ნბა-ს. იუგოსლავიელთათვის ახლა პირდაპირ მისწრება იქნებოდა სტოიაკოვიჩის თანაგუნდელი, ნბა-ში ჭიპმოჭრილი ვლადე დივაცი, რომელიც მურნინგს მეტ-ნაკლებად ტოლსწორად შეერკინებოდა და თავისიანებს საქმეს გაუიოლებდა, მაგრამ მან ოლიმპიადაზე თამაშს დასვენება არჩია. გამთამაშებელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი კიდს და პეიტონს აბა, როგორ შეედრება, მაგრამ მისი სამქულიანები იუგოსლავიას საქმეს ნამდვილად არ გაუფუჭებდა. მშობლიურ ქვეყნის ნაკრებს ვერც ის დაეხმარება.

ევროპის ჩემპიონ იტალიას სიდნეიდან რომელიმე მედლის წამოღება უნდა, რაც სულაც არაა ხელმიუწვდომელი. აი, ჩემპიონობისა კი რა მოგახსენოთ. კარლტონ მაიერსი თავისი თამაშის მანერით გერი პეიტონს ჩამოჰგავს, გრეგორი ფუჩკა კი პირწავარდნილი თეთრი გარნეტია, თუმცა მათი გუნდების შეხვედრის შემთხვევაში გამარჯვებული ვინც დარჩება, თავად მოგეხსენებათ.

იქნებ ამერიკის შედარებით რეალურ კონკურენტად ლიტვას ეროვნული ნაკრებიც ალგვექვა, თუ მას ორი ნბა-ელი გიგანტი — არვიდას საბონისი და ჟიდრუნას ილგაუსკასი (ორივე 221 სანტიმეტრია), აგრეთვე არტურას კარნიშოვასი ეყოლებოდა, მაგრამ უმათოდ ბალტიისპირელებმა მხოლოდ ვერცხლზე ან ბრინჯაოზე უნდა იფიქრონ.

არაევროპელთაგან აღსანიშნავია მასპინძელი ავსტრალიის გამოცდილი ნაკრები, რომლის სული და გული მოხუცი სნაიპერი ენდრიუ გეიზია, თუმც ავსტრალიას ამერიკელებმა ხუთი დღის წინ ოცდახუთ ქულის სხვაობით — 89:64 — მოუგეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

ცურვა

# რაღა დროს მეგობრობაა?!

**ხვალიდან**, როდესაც უკვე გაჩაღდება ოლიმპიური ასპარეზობები, აღარ იარსებებს ნაცნობ-მეგობარი, რადგან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ყველა ერთმანეთის მტერია. ასე ფიქრობს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ავსტრალიელი მოცურავე მაიკლ კლიმი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 22 წლის ავსტრალიელი ოლიმპიადის მოცურავეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პროგრამით გამოდის — სამ ესტაფეტასა და ორ ინდივიდუალურ გაცურვაში მონაწილეობს, მაშინ დასაძრახიც არაფერია. ჩოგბურთის ვარსკვლავები, დები უილიამსები თუ არ ინდობენ ერთმანეთს, კლიმს რაღა გაემტყუნება.

არადა მაიკლს მეგობრებისთვის მართლაც არ სცხელა, რადგან სწორედ ისინი იქნებიან მისი ძირითადი მეტოქეები. მათ შორისაა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე, რუსი ალექსანდრ პოპოვი, რომელიც ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტში გენადი ტურეცკის ხელმძღვანელობით აგერ უკვე რამდენიმე წელია, კლიმთან ერთად ვარჯიშობს. კლიმს არანაკლები გამოცდა ელის 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც, სადაც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, რომელსაც ცურვის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აქვს ამ დისციპლინაში თანაგუნდელ ჯეფ ჰიუჯილთან გაჯიბრება მოუწევს, ვისაც სხვათა შორის, ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში დაეჩაგვრინა.

**გიგა გურასაშვილი**



მაიკლ კლიმი (მარჯვნივ) და ალექსანდრ პოპოვი ოლიმპიადისთვის ერთად მოემზადნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერლიგელი მწვრთნელი იტალიაში სკოლის მოსწავლეა

## ვიალის ლანძღავენ და კოვერჩანოში უშვებენ, „ჩელსის“ კი რიგი დაუდგა



წინ, „ჩელსის“ მწვრთნელობიდან სკოლის მერხისკენ...

ბოლო სამი დღეა, ჩემპიონთა ლიგის გარდა მთავარი საფეხბურთო ამბავი ჯანლუკა ვიალის „ჩელსიდან“ გაშვებაა. ამიტომ თავხოტორა იტალიელის თავგადასავალს ერთხელაც მივუბრუნდეთ და ახალი დეტალები დავუმატოთ.

ოთხშაბათ დილით „ჩელსის“ აღმასრულებელ დირექტორ კოლინ ჰაჩისონს თავის სამუშაო მაგიდაზე მთელი ევროპიდან მისული წერილები დახვდა. ასე, 20-25 იქნებოდა. ყველა ერთი და იმავე შინაარსისა იყო: მე, ესა და ეს, ამ და ამ კლუბებში ნამუშევარი კაცი, მწვრთნელის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას გთავაზობთო. მოკლედ, ვიალის გამოთავისუფლებული სავარძელი ჯერ წესიერად არ გაციებულა და უცებ ამხელა რიგი დადგა. მოულოდნელი არაფერია, ცხოვრება თავისი გზით მიდის, „ჩელსი“ კი ძალიან გემრიელი ლუკმაა.

კოლინ ჰაჩისონი ამბობს: „ფაქსების გამოგზავნა გრძელდება. მათი ასეთი რაოდენობა გვიჩვენებს, თუ რაოდენ პოპულარულია „ჩელსი“. თითოეულ ვარიანტს ყურადღებით განვიხილავთ. ერთი რამ კი ახლავე ცხადია — ახალი მწვრთნელი უმაღლესი კლასის სპეციალისტი უნდა იყოს, ისეთი, როგორიც ჩვენ გუნდს შეეფერება. საბოლოოდ ყველაფერს ორი კვირის ვადაში გადავწყვეტავთ.“

თუ ვინ არიან მსურველები, ჰაჩისონი არ ამხელს, თუმცა ყოვლისმცოდნე ინგლისელ რეპორტიორებს ფრანკ რაიკაარდის სახელი გამოუჩხრეკიათ, „სტემფორდ ბრიჯზე“ ფაქსი მანაც აფრინაო. შევახსენებთ, რომ კლუბის თავჯდომარის, კენ ბეიტსის სიმპათიები უფრო ტერი ვენეიბლზისკენ იხრება.

ცნობილი გახდა სხვა საინტერესო ამბავიც. შესაძლოა ჩელსური ტრადიცია გაგრძელდეს და მწვრთნელის მოვალეობა რომელიმე ფეხბურთელმა შეითავსოს. ასე იყო აქამდე — რუუდ გულიტმა და ჯანლუკა ვიალიმ მოთამაშე-მწვრთნელობით დაიწყეს, მათი საქმის გამგრძელებლად კი დენის უაიზს მიიჩნევენ. გაზეთი „სანი“ დარწმუნებით ამცნობს მკითხველს, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, კლუბმა უაიზს ორწლიანი სამწვრთნელო კონტრაქტი შესთავაზაო. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავუმატოთ, რომ უაიზის დანიშვნა ცოტა შორეული პერსპექტივაა. „სანი“ იმავე ჰაჩისონის სიტყვებს იმოწმებს: „დიახ, დენისს მწვრთნელობა შევთავაზეთ, ოღონდ მას შემდეგ, რაც მისი ახლანდელი კონტრაქტი დასრულდება.“ დენის უაიზი „ჩელსისთან“ 2003 წლამდეა დაკავშირებული. ამ დრომდე კი გუნდს ვინმე სხვა გაწვრთნის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ჰო, ასეთი ხმებიც დადის, შესაძლოა თავის დროზე გუნდი უაიზმა კი არა, ჯანფრანკო ძოლამ ჩაიბაროსო.

აქამდე სულ „ჩელსიზე“ ვლაპარაკობთ და ჯანლუკა ვიალი მხოლოდ ერთხელ ვახსენეთ. მაშინაც უკვე კარგად ცნობილი რამ ვთქვით, ვიალი მოხსნესო.

ვიალის ამბავმა ზოგი შეაწუხა, ზოგი გაახარა, ზოგიერთისთვის კი სულერთია. კმაყოფილთაგან უმრავლესობა სიხარულის დამალვას ამჯობინებს, თუმცა ისეთებიც არიან, ამის თაობაზე საქვეყნოდ რომ ალაპარაკდნენ. მაგალითად, ვიალის წინამორბედი რუუდ გულიტი.

ოფიციალურად არსად თქმულა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ამბობდნენ, გულიტის გათავისუფლებაში იტალიელის ხელიც ერიაო. დღეს ეს უფრო სარწმუნოდ ჟღერს, რადგან „სექსუალური ფეხბურთის“ მქადაგებელმა დაუფარავად გადმოანთხია ძველი ბოღმა: „ვიალის მოხსნის ამბავი რომ შევიტყვე, სულაც არ შემცოდებია. კარგი იქნება, თუ გავახსენდები. ყოველთვის ასეა, სხვას მახეს რომ დაუგებ, ადრე თუ გვიან თავად გაებმები მასში. ვიცი, ახლა იჭორავებენ, გულიტს ამგვარად ძველი წყენა ალაპარაკებსო. ორი წლის წინ ბოლმა მართლაც მახრჩობდა, ახლა კი ვიალის ბედი ჩემთვის სულერთია. ამიტომ მასზე აბსოლუტურად ობიექტურად ვლაპარაკობ.“

გავიხსენოთ, რომ რუუდ გულიტმა „ჩელსის“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაგებინა. იქამდე ლონდონურ კლუბს მთელი 26 წელი არაფრისთვის მიეღწია. „თასის მოგებამ ვერ მიშველა — განაგრძობს გულიტი — მაშ, რა გასაკვირია, რომ ჯილდოების მოპოვების მიუხედავად, ვიალიც მოხსნეს? და საერთოდ, „ჩელსის“ ჰყავს მეპატრონე კენ ბეიტსი, ამ კაცმა კლუბში მილიონები დაბანდა და განა უფლება არა აქვს, საკადრო პოლიტიკა საკუთარი შეხედულებებით წარმართოს? “

ერთხელ უკვე ვთქვით, რომ ვიალის უმუშევრობა ანუ უხელფასოდ დარჩენა არ აწუხებს. მის ოჯახს სიმდიდრე ოდითგანვე მოსდევს და საოჯახო ყულაბაში ჯანლუკასაც რამდენიმე მილიონი ჩაუდვია. მისი პრობლემა უფრო უსაქმურობაა, რაც ვიალის ძალიან არ უყვარს. ჰოდა, რაკი ასეა, მწვრთნელობაში დაბრუნებასაც უნდა ველოდოთ. თუმცა სანამ ვიალის სამომავლო გეგმებსა და ვარიანტებს გავეცნობით, ორიოდე სიტყვით მისი „ჩელსიდან“ დათხოვნის მიზეზებს მივუბრუნდეთ.

ლონდონელთა ოფიციალურ განცხადებაში რაღაც აბდაუბდა წერია კლუბის დიდ სტრატეგიულ გეგმებსა და მწვრთნელის შეცვლის აუცილებლობაზე, საიდანაც კაცს დასკვნის გამოტანა გაუჭირდება. არაოფიციალურ ენაზე კი მიზეზი ასე ჟღერს: „ჩელსიმ“ ვერ მოიგო პრემიერლიგა, ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში, ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის დაძაბული ურთიერთობაა.

საერთოდ, ვიალის გაშვების მიზეზების ძიება დიდად დამაინტრიგებელი თემა აღმოჩნდა და ფეხბურთის უამრავი სპეციალისტი გამოეხმაურა. ვიალის საკითხს ვერც მარჩელო ლიპიმ აუარა გვერდი: „ვერაფრით დავიჯერებ, რომ ლუკა ცუდი შედეგისთვის მოხსნეს. აქ რაღაც სხვაში უნდა იყოს საქმე, რაც ვერ გამიგია.“

მარჩელო ლიპის ხსენება ქვემოთაც მოგვიწევს, ახლა კი ვიალის ძველ მეგობარ რობერტო მანჩინის მოვუსმინოთ, რომელმაც „სამპდორიაში“ შვიდი წელი ითამაშა ვიალისთან ერთად: „ლუკას რამდენიმე დღით ადრე დავურეკე, საგანგაშო არაფერი უთქვამს. კი ვიცოდი, რომ რაღაც პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ორ დღეში თუ მოხსნიდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. გაოგნებული ვარ. ლუკა დიდი ფეხბურთელი იყო და მწვრთნელიც არანაკლები გამოდგა. რაკი ინგლისში ვერ დააფასეს, იტალიაში უნდა დაბრუნდეს, აქ მისთვის ყოველთვის მოიძებნება სამუშაო.“

თავად ვიალი ჯერჯერობით დუმს. ერთ-ერთმა ინგლისურმა გაზეთმა მას ინტერვიუში 50 ათასი გირვანქა შეაძლია, თუ ის „ჩელსის“ შიდა სამზარეულოს გამოამზეურებდა. ვიალიმ უარი განაცხადა.

დღეს ყველას პირზე აკერია: ვიალი იტალიაში დაბრუნდება, სერია A-ს რომელიმე გუნდს ჩაიბარებს. რამდენიმე ვარიანტზე საუბრობენ: „პარმა“, „ინტერი“ — ვიალის იქ აღმოჩენის ვარიანტებს რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებენ. „პარმაში“ ალბერტო მალესანის კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება, ხოლო „ჰელსინგბორგთან“ წაგების მერე „ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატის მარჩელო ლიპიზე გული აქვს აყრილი. თან იტალიის გეოგრაფიის კარგად მცოდნენი იმასაც ამბობენ, მილანი ვიალის მშობლიურ კრემონასთან სულ რაღაც 80 კილომეტრით არის დაშორებული და მასაც იქით გაუწევს გულიო.

აქ დაპირებისამებრ ერთხელაც გავიხსენოთ მარჩელო ლიპი, ვინც „იუვენტუსში“ თავად ავარჯიშებდა ვიალის, ახლა კი ბედის ირონიით კონკურენტად გახდომია: „ლუკა მზად არის, სერია A-ში მოსასვლელად. მეტიც, მან მხოლოდ იტალიაში უნდა იმუშაოს.“ ცხადია, ლიპი არ იტყვის, ყოფილ შეგირდს სიამოვნებით დავუთმობ ადგილსო.

ბოლოს კი დავუმატოთ, რომ „ინტერი“ იქნება, „პარმა“ თუ რომელიმე სხვა იტალიური გუნდი, ჯანლუკა ვიალი სამუშაოს უცბად ვერ მიიღებს. ინგლისისგან განსხვავებით, აპენინებზე მწვრთნელის ლიცენზია უნდა გედოს ჯიბეში, რაც ვიალის არა აქვს. რაღა დარჩენია? სწავლა, სწავლა და სწავლა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სამწვრთნელო სკოლა კი კოვერჩანოშია, ფლორენციის მახლობლად, სადაც სრული კურსის გავლის შემდეგ მომავალ მწვრთნელებს საკმაოდ რთული გამოცდის ჩაბარება უხდებათ (ამ სკოლის დირექტორია ფრანკო ფერარი, რომელმაც ამ ზამთარში ქართველ მწვრთნელებს თბილისში სემინარი ჩაუტარა).

ასე რომ, წინ — „ჩელსის“ მწვრთნელობიდან სკოლის მერხისკენ...

**გიორგი დარჯანია**



# სახეზე გატყობთ კმაყოფილებას...

## ტიტულიანი ბაჯო უტიტულო ბრეშაში

... ყველაზე მეტად თავად 33 წლის ბუდისტმა გაიხარა. რობერტო ბაჯო, 1993 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი და ბევრისთვის (განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის) სათაყვანებელი მილანურ ჯოჯოხეთს გუშინ ოფიციალურად დაეხსნა. „ინტერში“ გატარებული ორწლიანი უიღბლო სეზონი უკვე წარსულია, თუმცა რობისთვის ტკბილად მოსაგონარი — ნამდვილად არა.

გუშინ სერია A-ში გადასულ პატარა კლუბ „ბრეშას“ ოფისში მაგიდას გუნდის პრეზიდენტი ჯინო კორიონი, მთავარი მწვრთნელი კარლო მაცონე და რობერტო ბაჯო მიუსხდნენ. კონტრაქტი უკვე გამზადებული გახლდათ, მთავარი ხელმოწერა იყო.

— მოხარული ვარ და ამავე დროს ძალიან ბედნიერი. „ბრეშა“ ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს მიერ წაყენებულ პირობაზე თანხმობა განაცხადა — უთხრა ჟურნალისტებს რობერტო ბაჯომ და კონტრაქტზე ხელიც მოაწერა. ხელშეკრულების თანახმად, ჯერაც ჩაუმქრალი ვარსკვლავი „ბრეშაში“ ორ წელიწადს გაატარებს და კუთვნილ 5 მილიონ დოლარსაც მიიღებს, თუმცა კონტრაქტში ასეთი მუხლიცაა ჩაწერილი: თუ „ბრეშა“ ქვედა ლიგაში დაქვეითდა, კლუბი ფეხბურთელს გუნდიდან წასვლაში ხელს არ შეუშლის.

„ბრეშას“ თავკაცი კარლო მაცონე ბაჯოს დიდი მოტრფიალეა და რობის თავის გუნდში გადასვლითაც ერთობ დაინტერესებული ყოფილა. მაცონეც გახარებულია: „ბედნიერებაა, როცა გუნდში რობერტო ბაჯოს დარი ფეხბურთელი გყავს. „ბრეშა“ პატარა კლუბია, ბაჯოს აქ მოსვლით ახალი ერა იწყება. ვერ გამიგია, ისეთ ფეხბურთელს, როგორიც რობერტო ბაჯოა, რანაირად უნდა უთხრა, ჩემს ტაქტიკაში ვერ ჯდებიო. 33 წელი მოქმედი ფეხბურთელისთვის, ცხადია, საკმაოდ ბევრია, მაგრამ ეს სულაც არ მაშინებს“. მწვრთნელს კვერი თავად რობიმაც დაუკრა და ჟურნალისტებს აქამდე დაუფარავი სურვილი კიდევ ერთხელ გაანდო: „ჩემი მიზანი? ყველაფერს ვიღონებ ნაკრებში დასაბრუნებლად — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეა-იაპონიაში მსურს თამაში“. ბაჯოს სურვილს „სკუადრა აძურას“ მხცოვანი თავკაცი ჯოვანი ტრაპატონიც გამოეხმაურა და, წინამორბედთაგან (საკი, მალდინი, ძოფი) განსხვავებით, დაუფარავად თქვა, ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნება, თუ ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილა, უარს ნამდვილად არ ვიტყვიო.

ესეც ასე, ახლა უკვე ბრეშელი ბაჯო კვლავაც ითამაშებს სერია A-ში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასაკის მიუხედავად, ქომაგთ არაერთხელ აღაფრთოვანებს.

რობერტოს აქამდე ამ ქვეყნის სამ ტიტულიან კლუბში უთამაშია — „იუვენტუსში“, „მილანსა“ და „ინტერში“. იტალიის ორგზის ჩემპიონია და ორჯერაც უეფას თასი აღუმართავს. 1993-ში კი სულაც პლანეტის უძლიერესი ფეხბურთელი გახლდათ.

**გიორგი ვაჩნაძე**

### ინგლისი

#### პირველი დივიზიონი

VII ტური

**ვულვერჰემპტონი 0:0 შეფილდი**

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი, ემბლენი, ბაზელი, ოსბორნი (ძიცგაია 37), სედჯლი, რ. ტეილორი (სინტონი 46), ლესკოტი, პრუდლოკი

მწვრთნელი: კოლინ ლი

14 853 მაყურებელი

**ქუინზ პარკი 2:2 ჯილინგემი**

0:1 ასაბა (46), 0:2 პესენტალერი (74), 1:2 კრაუჩი (79), 2:2 კივომია (83)

10 655 მაყურებელი

**უენსდი 0:1 ნოტინგემი**

0:1 ლესტერი (35)

15 700 მაყურებელი

**ბირმინგემი 3:1 პრესტონი**

0:1 რანკინი (34), 1:1 ნდლოვუ (58), 2:1 ჯონსონი (65), 3:1 ოკონორი (78პ)

16 464 მაყურებელი

**ბლექბერნი 3:4 უოტფორდი**

1:0 დანი (6), 2:0 ბლეიქი (16), 2:1 ჰიდი (18), 2:2 ჰელგუსონი (35), 2:3 ჰიდი (37), 2:4 მუნი (65), 3:4 ბლეიქი (87)

17 258 მაყურებელი

**ქრიუ 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჰიუზი (14)

6 222 მაყურებელი

**კრისტალ პალასი 1:0 ბარნსლი**

1:0 მორისონი (1)

16 297 მაყურებელი

**ფულემი 3:1 ბარნლი**

0:1 კუკი (10), 1:1 გოლდბეკი (53), 2:1, 3:1 საჰა (64, 81)

11 863 მაყურებელი

**გრიმსბი 0:1 ბოლტონი**

0:1 რიკეტსი (71)

3 732 მაყურებელი

**ჰადერსფილდი 0:2 უიმბლდონი**

0:1, 0:2 ჰარტსონი (21, 54)

7 592 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:0 ტრანმერი**

1:0 მილსი (81), 2:0 ბრედბერი (86)

9 235 მაყურებელი

**სტოკპორტი 1:3 ნორვიჩი**

0:1 უიტლი (15), 0:2 რობერტსი (30პ), 1:2 სმიტი (52), 1:3 რობერტსი (85)

5 703 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:4 | 18 |
| უოტფორდი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:6 | 16 |
| ბოლტონი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ბირმინგემი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ბლექბერნი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 11 |
| პრესტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| ნოტინგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| ტრანმერი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | 10 |
| უიმბლდონი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:2 | 9 |
| პორტსმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ბარნლი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| ქუინზ პარკი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 7 |
